

ვლადიმერ (ვალო) ღუნაშვილი



ქართლის (იბერიის) სამეფოს

პოლიტიკური ორიენტაცია

ძვ.წ. IV-I საუკუნეებში

საქართველოს ეროვნული აკადემია

გლადიმერ (ვალო) დუნაშვილი

**ქართლის (იბერიის) სამეფოს
პოლიტიკური ორიენტაცია ძვ.წ. IV-I
საუკუნეებში**

თბილისი 2018

UDC(უაპ).94(395.4)+327(395.4)

ლ-97

რედაქტორი - პროფესორი მერაბ ძელაძე
ტექნიკური რედაქტორი - ნორა თიგიშვილი

წიგნზე მუშაობის დროს გაწეული უანგარო დახმა-
რებისთვის მაღლობას ვუხდით მაია ჩოლოყაშვილს.

წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ნაშ-
რომია და საქართველოს პოლიტიკური წარსელით
დაინტერესებულ სპეციალისტთა და ფართო საზო-
გადოებისთვისაა განკუთვნილი.

ISBN 978-9941-473-50-0

პოლიტიკური ორიენტაცია და ქართული სახელმწიფოს შექმნა ფარნავაზის ხანაში

ზესახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს გადახაწილების პროცესი საქართველოსაცით პატარა ქვეყნის ყოველვის მტკიცნეულად აისახებოდა. თუ საქართველოს ხელისუფლება ზუსტად ვერ განსაზღვრავდა თავის პოლიტიკურ ირიგიას, ნაჩერევად ან ნაგვიანებად შეცვლიდა, იმავდროულად, მპყრობელი იმპერიის ძალისხმევით, ქვეყნის დაქუცმაცება და მმათა სისხლისმდგრელი ომები იწყებოდა.

ხშირად, უკვე განწირული ზესახელმწიფო, რამდენიმე წელიწადში, კვლავ ძალას იკრებდა, პოლიტიკურ ირიგიას შეცვლილ საქართველოს ხელისუფლებას და მასთან ერთად მოედ ქვეყნასაც, როგორც მოდალატებს, სასტიკად სჯიდა.

ასეთ შემთხვევაში ხელისუფალი ან უნდა გასცლოდა სამშობლოს და თაგვესაფარი ეპოვა იმ ქვეყანაში, რომლის პოლიტიკური ორიენტაციაც გაიზიარა, ან ბორკილდადებული უზენაესის გადაწყვეტილებას დალოდებოდა.

ხდებოდა ისიც, რომ ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლის დრო ზუსტად ისაზღვრებოდა და გარკვეული სირთულეების გადალახვის შემდგომ, ქვეყანა მაინც დიდ წარმატებებს აღწევდა. ასე მოხდა ფარნაგაზის შემთხვევაშიც.

მსოფლიოს გადანაწილებისთვის ბრძოლაში, განსაკუთრებით იმპლავრა აქემენიანთა სპარსეთმა, რომელმაც წინა აზიის ბევრი ქვეყანა დაიმორჩილა და ზემდღავრ სახელმწიფოდ ჩამოჟალიბდა. სპარსეთმა ქრისტეს წელთაღრიცხვამდე V ს-ის მეორე წახევარში აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო. „წარმოგზავნა ერისთავი თვესი სპითა დიდითა,

რომელსა სახელი ერქუა არდამ,... მოვიდა ქართლად და შემუსრნა ყოველნი ქალაქი და ციხენი ქართლისანი“ [ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955. გვ. 13]. ფაქტობრივად, ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოში, აქემენიდური სპარსეთის მონაწილეობით, ტომობრივი გაერთიანების სისტემა, ქართველთა სახელმწიფოებრივი ერთიანობის საფუძვლის ჩაყრით შეიცვალა.

ქართველთა მიერ სპარსელებისადმი წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად, სპარსელებმა ქართლი მთლიანად დაიმორჩილეს და იქ თავიანთი მმართველობა დაამყარეს.

სახელმწიფოს წარმოშობის საკითხების პლატფორმას ბატონი გურამ მამულია სახელმწიფოს შექმნის ექვსი წინაპირობის არსებობის აუცილებლობას

მიუთითებს. კერძოდ: 1. მოსახლეობის რიცხოვნების სწრაფი ზრდა, ანუ დემოგრაფიული აფეთქება; 2. ომის საშიშროება; 3. დაპყრობა; 4. ჭარბი, ნამატი პროდუქციის არსებობა; 5. იდეოლოგია („არმაზი ომისა და ნაყოფიერების დაზიანება იყო“); 6. არსებულ დიდ სახელმწიფოთა გავლენა [გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ., 1979, გვ. 166-167]. ყველა ეს წინაპირობა იმ პერიოდის ქართლში უკვე არსებობდა.

ლეონტი მროველის მიერ აღწერილი ზესახელმწიფოების ბრძოლა საქართველოზე გავლენის მოპოვებისათვის, ასახულია იმ პერიოდის არტეფაქტებზე, რომელიც უხვადაა აღმოჩენილი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. კერძოდ: 1908 წელს ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფ. საძეგურში (აღმოსავლეთ საქართველო) შემთ-

ხვევით აღმოჩნდა განძი, რომელიც ახალგორის განძის სახელით არის ცნობილი – „ახალგორის სასაფეთქლეუბს ატყვია აქემენიდური ხელოვნების ერთგვარი გავლენა (ცხენის თავების დამუშავების მანჯრა, დაპილული ქონგურები ცხენების სადგარზე), ხოლო მრგვალი საყურის საერთო ფორმა წარმოშობით ირანულია, სტილისტურად, როგორც ერთი, ისე მეორე ნივთი მკვეთრად განსხვავდება საკუთრივ სპარსულ-აქემენიდური ნაწარმისაგან და უდავოდ ადგილობრივი, ქართული ნახელავია. ამაზე, უპირველეს ყოვლისა გავარსის უხვი გამოყენება მიუთითებს“ [ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981, გვ.8].

აქემენიანთა სპარსეთის ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ძვ.წ. 334 წელს ალექსანდრე მაკედონელის თაოსნობით დაიწყო მსოფლიოს ახალი გადანაწილების პროცესი. მალე აქემენიანთა სპარ-

სეთი ალექსანდრე მაკედონელის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, მაკედონელთა მფლობელობაში გადავიდა საქართველოს იმ-დოროინდელ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური მოდგმის ტომობრივი გაერთიანებები, რომლებიც ემორჩილებოდა აქემენიანთა სპარსეთს. „დაიპურა ალექსანდრე ყოველი ქართლი,... დაუტევა ქართლს ერისთავად აზონ და მის თანა სპანი იგი, მპურო-ბელად ქართლისა“ [ქ. ცხ. I. გვ. 18].

იმავე ფაქტს მეორე წერო – „მოქცევად ქართლისად“ შემდგენაირად გადმოგვცემს: „თანა-ჟყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზო, მც არიან ქართლისა მეფისად, და მას მიუბოძა მცხეთად საჯდომად და საზღვარი დაუდვა მას პერეთი და ეგრისწყალი და სომხითი და მთად ცროლისად და წარვიდა.

ხოლო ესე აზო წარვიდა არიან ქართლად, მამისა თუსისა, და წარმოიყვანა რვად სახლი და

ათნი სახლი, მამა-მტებულთანი, და დაჯდა ძუელ
მცხეთას და თანა ჰყვანდეს კერპნი ღმერთად –
გაცი და გაიამ.

და ესე იყო პირველი მეფტე მცხეთას შინა,
აზოვ არიან ქართველთა მეფისათ, და მოქუდა“ [ძვე-
ლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგ-
ლები, წ. I. თბ., 1964, გვ. 81-82].

„მოქცევად ქართლისათ“ მემატიანე აზოს უწო-
დებს მეფქს – „ესე იყო პირველი მეფტე მცხეთას ში-
ნა, აზოვ არიან ქართველთა მეფისათ“ [ძველი ქარ-
თული აგიოგრაფიულ-ლიტერატურის ძეგლები,
წიგნი I, გვ. 82]. „არიან ქართლი“, საეციალისტების
მიერ განმარტებულია, როგორც ირანის ქართლი.

ქართლის ცხოვრების მემატიანე, ლეონტი მრო-
ველი აზოს მეფედ არ მიიჩნევს. არც „მოქცევად
ქართლისათ“ და არც ქართლის ცხოვრება აზოს
ქართული სახელმწიფოებრივი მშენებლობის არც

ერთ რეფორმას არ იცნობს და შესაბამისად არ ასახელებს.

ქართველ ისტორიკოსთა დიდი ნაწილი, უცხოურ წეაროებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ალექსან-დრე მაკედონელს ქართლში არ ულაშქრია. ჩვენ ნაწილობრივ ვეთანხმებით ამ თეზისს და აღვნიშ-ნავთ, რომ ალექსანდრე მაკედონელს უშუალოდ არ მიუღია მონაწილეობა ქართლის დაპყრობაში. ქართ-ლი დაიმორჩილა ალექსანდრეს დაქვემდებარებაში მყოფმა შეიარაღებულმა ძალებმა და მათვე დანიშ-ნეს აზო ქართლის მმართველად.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილმა იმპერიამ დიდხანს ვერ იარსება. მაკედონელის გარ-დაცვალების [ძვ.წ. 323 წ.] შემდეგ, ძალიან მალე დაიწყო ახალი ომები მსოფლიოს გადანაწილები-სათვის. ძვ.წ. III ს-ის შუა წლებში ჩამოყალიბდნენ ახალი სახელმწიფოები, რომელთაგან განსაკუთ-

რებულად საშიში იყო პონტოსა და სელევგიანთა (ასურასტანი) სამეფოები, ანუ ალექსანდრე მაკედონელის სარდლის სელევგის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა: მიდია, სპარსეთი, ელამი, ბაქტრია, პართია, მესოპოტამია, ჩრდ. სირია, ძვ.წ. 301 წლისთვის კი სომხეთის დიდი ნაწილიც. სელევგის მემკვიდრეები იყვნენ: ანტიოქიოს I (280-260), ანტიოქიოს II (260-247), სელევგი II (247-226). სამეფო დედაქალაქი გახდათ ქ. ანტიოქია მდ. ორონტზე (სირია) [საქ. ისტორიის ნარკვევები, ტომი I, 1970, გვ. 442].

მცირე აზიის ჩრდილოეთ რაიონებში ჩამოყალიბდა პონტოს სამეფო. „მასში მითრიდატიდების დინასტია დამკვიდრდა. დინასტიის დამფუძნებელი იყო სპარსეთის უგანასძნელი მეფის დარიოს III-ის სატრაპი მითრიდატე“ (საქ. ისტორიის ნარკვევები, გ. I. 1970, გვ. 442), რომლის სიკვდილის შემდეგ

გამეფდა ამ მითრიდატეს შვილი, ასევე მითრიდატედ
წოდებული (იქვე).

ქართლისთვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირის-
პირდა პონტოსა და სელევკიანთა სამეფოები. თავ-
დაპირველად, ეს იყო ფარული დაპირისპირება.

ცნობილია, რომ მძღავრი სახელმწიფოს ხელმძ-
ღვანელობა ყოველთვის მოსურნეა მის საზღვართან
ახლოს, მომიჯნავედ არ იყოს მოწინააღმდეგებე მძღ-
ვრი სახელმწიფოს საზღვარი. ანუ მოწინააღმდეგე
მძღავრ სახელმწიფოებს შორის სასურველია იყოს
ბუტაფორული პატარა სახელმწიფო, რომელიც ამა-
თუ იმ მძღავრი სახელმწიფოს ინტერესების გამტა-
რებელი იქნება, უმჭველია, იურიდიულად ეს პატარა
სახელმწიფო იქნება დამოუკიდებელი სამეფო. მაგ.
XIII ს. დასაწყისში საქართველომ, თამარ მეფის
ინიციატივით, ასეთ ბუტაფორულ სახელმწიფოდ შექმნა

ტრაპიზონის იმპერია, ალექსანდრე კომნენოსის
ხელმძღვანელობით.

სელევკიდები ქართლის მმართველ აზოს მოიაზ-
რებდნენ პონტოს სამეფოს ინტერესების გამტა-
რებლად. როგორც ჩანს, აზოს განდევნა ქართლი-
დან კარგად დაგეგმეს სელევკიანთა სამეფოს მესვე-
ურებმა. უპირველეს ყოვლისა, შეირჩა შესაფერისი
პიროვნება, რომელიც თავისი წარმომავლობითა და
პიროვნული თვისებებით მისაღები იყო სელევკიანუ-
ბისათვის. ამგვარ პიროვნებად ფარნავაზი ცნეს.
ფარნავაზის წინაპრები აქემენიანთა – სპარსეთის
მმართველთა მხარდაჭერით სარგებლობნენ.
ფარნავაზი ყოფილა „ნათესავი უფლოს მცხეთოსის
ძისა, და ძმისწული სამარა მამასახლისისა“ [ქ. ცხ.
I. გვ. 22]. იმ პერიოდში მამასახლისის ფუნქცია
ამგვარად მოიაზრებოდა: „მაზავებელი და მსაჯული
ყოველთა ქართლოსიანთა“ [ქ. ცხ. I. გვ. 11].

ლეონტი მროველის თანახმად, ფარნავაზის დედა გახლდათ „სპარსი ასპანელი“ [ქ. ცხ. I, გვ. 20]. სავარაუდოა, რომ სელევკიანთა სამეფოს მმართველებმა კავშირი დაამყარეს ფარნავაზის დედასთან და მისი საშუალებით, დედა-შვილის დევნილობის პერიოდში, ფარნავაზს სამეფოს შექმნისა და მართვისთვის შესაფერისი განათლება მიაღებინეს.

ქართლში კი ამ დროს უაღრესად დაძაბული ვითარება იყო. აზო „იყო ქაცი მნელი და მესისხლე, და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, მოკალო იგი და ჰყოფდეს პრომნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა, და ვინცა-ვინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნელ-კეთილი და ასაკოვანი, მოპლანი იგი. და იყო ჭირი დიდი ნათესავსა ზედა ქართველთასა. და ესე აზონ მათ პრომთაცა, ზედა იყო

მესისხლე და მოქსრნებ მრავალნი მათგანნი“ [ქ. ცხ. I, გვ. 20].

აზოს მმართველობა ქართლში დაახლოებით 24 წლის განმავლობაში გაგრძელდა. ფარნავაზი დედამ ქართლიდან წაიყვანა მაშინ, როდესაც ის სამი წლის იყო, დაბრუნებისას კი „ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მწედარი შემმართებელი და მონადირე ქელოვანი. და იმალვიდა იგი სიკეთესა თუსსა აზონის შიშისაგან“ [ქ. ცხ. I, გვ. 21].

მიუხედავად იმისა, რომ ფარნავაზი ფრთხილობდა და არასდროს წარმოაჩენდა თავის ფიზიკურ თუ გონებრივ უპირატესობებს, აზოსთვის მაინც ცნობილი გახდა, რომ ფარნავაზი საუკეთესო მებრძოლი და მონადირე იყო. ამიტომ დედა მუდამ სიფრთხილისკენ მოუწოდებდა ფარნავაზს, რათა „არ მოეკვლევინებინა“ აზოს. „იყო შიში და ძრწოლა მას ზედა. და ვითარ განმრავლდა შიში აზონისი მათ

ზედა, რქუა ფარნავაზს დედამან მისმან: „შვილო
ჩემო დაუტევე საყოფელი მამათა შენთა და წარმი-
ყვანე მამულსა ჩემსა ასპანს, ძმათა ჩემთა თანა, და
განერე შენ ცოცხალი ჭელისაგან აზონისა“ [ქ. ცხ.
I. გვ. 21]. როგორც ჩანს, ეს ის პერიოდია, როდესაც
აზოს წინააღმდეგ აჯანყებისათვის გაცხოველებული
სამზადისი თითქმის დასრულდა, საჭირო იყო მხო-
ლოდ სათანადო თანხები, მაგრამ დაფინანსება
იგვანებდა. აზო და მისი მომხრეები, ბუნებრივია,
გრძნობდნენ, რომ ქვეყანაში რაღაც ხდებოდა და
მოწინააღმდეგების დასათრგუნად აზოს ბრძოლა
ტერორში გადაიზარდა. ამის გამო ფარნავაზმა და
დედამისმა გადაწყვიტეს (სავარაუდოა, თანამოაზრე-
ბოთან ერთად) გასცლოდნენ ქართლს, ანუ, არსე-
ბული ხელისუფლების მოწინააღმდეგენი უნდა გა-
დასულიყვნენ ბრძოლაზე იატაკქმებენ. „დაამტკი-
ცეს განზრახვა ესე, წარსვლა ასპანისა. ჭირ უჩნდა

ფარნავაზს დატევება საყოფელსა მამათა მისთასა, არამედ შიშისაგან დიდისა დაამტკიცა წარსევლა“ [ქ. ცხ. I. გვ. 21].

ამ უაღრესად რთულ პერიოდში ფარნავაზი ნახულობს წინასწარმეტყველურ სიზმარს „მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცერსა, და ეგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას, და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუქმდაბლად, მიჰყო ჭელი მისი, მოჰკოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა. განიღვიძა ფარნავაზ და განუპპრდა, და თქვა: „სიზმარი იგი, ესე არს, მე წარვალ ასპანს, და მუნ კეთილსა მივეცემი“ (ქ.ცხ. I. გვ. 21). სიზმრის მიხედვით ფარნავაზი ჩაგეტილია უკაცრიელ შენობაში, რომლიდანაც უნდა გამოსვლა, მაგრამ

ვერ გამოდის, ანუ ფარნაგაზი სხვისი დახმარების გარეშე ვერ შესძლებს წარმატების მიღწევას. მაშინ სარკმელში შემოდის მზის შუქი (სხივი), შემოერტყმება ფარნაგაზს წელზე, გამოიყვანს სარკმლიდან და გაიყვანს ველად, ანუ დიდი პიროვნების, დიდი სახელმწიფოს დახმარებით (მზის შუქი) ფარნაგაზი შესძლებს წარმატების მოპოვებას. სიზმრის მიხედვით ფარნაგაზი მოწმენდს მზეს ცვარს და წაისვამს სახეზე, ანუ სელევკიანთა სამეფოს მესკურთაგან (ვისი დახმარებითაც გამოვიდა უკაცრიელი შენობიდან და გაფიდა ველად) მიიღებს ქართლის სამეფო გვირგვინს – ღვთივკურთხევას და იმევებს დიდხანს და ბედნიერად. თუმცა ფარნაგაზს თავიდანვე ამ წინასწარმეტყველური სიზმრის თვითონაც არ სჯერა და ამბობს: „მე წარვალ ასპანს, და მუნ კეთილსა მიგეცემი“ [ქ. ცხ. I, გვ. 21]. (ფარნაგაზის სიზმრის ახსნისას გამოყენებულია ცნობილი მედი-

უმის მის-პასებს, წიგნი, ძილი და სიზმარი. 1990 წ.). შემდგომ ლეონტი მროველი აღწერს ფარნავაზის სანადიროდ წასვლას, სადაც ფარნავაზი დაჭრის ირემს, შემოაღამდება, მოვა წვიმა. ფარნავაზი იპოვის გამოქვაბულს და იქ ნახულობს უამრავ სიმდიდრეს, აქ ლეონტი მროველი სელევკიდთა სამეფოს ხელმძღვანელთა მიერ ფარნავაზისთვის ფარულად გადაცემული თანხის შეფუთვას ეწევა, ირემზე ნადირობისა და მღვიმეში განძის პოვნის მითოლოგიური საბურველით, ანუ ფარნავაზმა აზოს (პონტოს სამეფოს) საწინააღმდეგო ქმედებების ორგანიზებისთვის საჭირო თანხა მიიღო. თანხის მიღების შემდეგ ფარნავაზმა მალულად გადაიტანა ძვირფასეულობა საიმედო ადგილას და დაიწყო მოქმედება. პირველ რიგში თავისი წარმომადგენელი გაგზავნა მოსალაპარაკებლად ეგრისის მმართველ ქუჯისთან; ქუჯი ნაწყენი იყო პონტოს სამეფოს მესვეურებზე. პონტო

ომობდა ეგრისთან და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდა „აზონ... დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა“ [ქ. ცხ. I, გვ. 19]. ჩვენი ვარაუდით, ქუჯის მალევე უნდა მოეხერხებინა ეგრისის დიდი ნაწილის გათავისუფლება აზოს მხედრობისაგან. და ამაში ქუჯის დაეხმარებოდნენ სელევკიდები. ამდენად, ქუჯიც და ფარნავაზიც, ჩართულნი იქნებოდნენ იმ პერიოდის საერთაშორისო ცხოვრებაში და მზად იყვნენ სელევკიდური პოლიტიკური ორიენტაციის გასატარებლად. სხვა შემთხვევაში, ეგრისი რომ მთლიანად დაპყრობილი ჰქონდა აზოს, ქუჯი ვერ შეუერთდებოდა ფარნავაზს და ვერ შექმნიდა კოალიციური ჯარის შესაკრებ-გასაწვრთნელ ბანაკს, აზოს წინააღმდეგ საბრძოლო ქმედების ჩასატარებლად, რადგან აზო „იყო კაცი ძნელი და მესისხლე და ესე დააწესა და ამცნო სპათა მისთა, ვითარმედ: „ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან

პოვოს საჭურველი, მოკალთ იგი“ და პყოფდეს პრო-
მნი იგი ესრეთ ქართველთა ზედა...“ [ქ. ცხ. I. გვ. 20].
— ეგრისს წაართვა ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვის-
პირეთი. ამდენად ფარნავაზს შესანიშნავი ნიადაგი
დახვდა ეგრისში: ქუჯის მხარდაჭერით შეეძლო შეუ-
ქმნა აზოს საწინააღმდეგო გაერთიანება. მოლაპარა-
კება წარმატებით დასრულდა, რის შედეგადაც ფარ-
ნავაზი (თანხის გარკვეული ნაწილი) გადავიდა
ქუჯისთან. ქუჯის სარეზიდენციო ცენტრის სიახ-
ლოვეს მოკავშირებმა (ფარნავაზი და ქუჯი) მოაწყ-
ვეს სამხედრო ბანაკი და დაიწყეს ზრუნვა ჯარის
შეკრება-აღჭურვაზე. როგორც აღვნიშნეთ, ქუჯი და-
პირისპირებული იყო აზოსთან, არ ექვემდებარებოდა
მას, ამიტომ აზოსთვის შედარებით მიუწვდომელ ტე-
რიტორიაზე გამართა სამხედრო ბანაკი. გაერთიანე-
ბის ხელმძღვანელობაში ქუჯის დაქვემდებარებაში
მყოფი მებრძოლების შეკრების პარალელურად დაი-

ქირავა „ურიცხუნი სპანი და მომართეს აზონს“ [ქ. ცხ. I. გვ. 23], ანუ სელვებიდური პოლიტიკური ორი-
ენტაციის ფარნავაზი, რომელიც პოლიტიკურ კავ-
შირში იმყოფებოდა ეგრისის მმართველ ქუჯისთან,
დიდი საბრძოლო ძალით აღჭურვილი დაუპირის-
პირდა პონტოს სამეფოს დაქვემდებარებაში მყოფ
აზოს. ფარნავაზი, როგორც ჩანს, პარალელურად
მოლაპარაკებას აწარმოებდა აზოს მებრძოლებ-
თანაც. „მაშინ ათასი მცედარი რჩეული ... განუდგეს
აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა ... მაშინ
ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს“ [ქ.ცხ. I. გვ.
23]. როგორც ჩანს, აზოს შეიარაღებულ პირებთან
მოლაპარაკებას ფარნავაზმა წარმატებით გაართვა
თავი. დარჩენილი მცირერიცხოვანი ჯარით კი აზომ
ვეღარ გაბედა ფარნავაზისთვის წინააღმდეგობის
გაწევა: „წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და

გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა“
[ქცხ. I. გვ. 23].

სელევკიდური პოლიტიკური ორიენტაციის ფარნაგაზმა, ფაქტიურად, სისხლიანი დაპირისპირების გარეშე, დაამარცხა ქართლში პონტოს სამეფოს მმართველობა, აიძულა აზო უბრძოლველად გასცლოდა მცხეთას და კლარჯეთში გამაგრებულიყო.

ფარნაგაზის მიერ აზოსა და პონტოს ჯარების ქართლის ცენტრალური ნაწილებიდან გაძევების შემდეგ, უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენები განვითარდა. კერძოდ, სახელისუფლო პოლიტიკური ძალაუფლების მწვერვალზე მყოფმა ფარნაგაზმა, უეცრად, თითქოსდა, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, უარი განაცხადა ქვექნის დამოუკიდებელ მართვაზე და ითხოვა სელევკიანთა სამეფო ხელისუფლებისაგან ქართლის სელევკიანთა სამეფოს შემადგენლობაში მიღება. „ფარნაგაზ წარა-

გლინნა მოციქულის წინაშე მეფისა ანტიოქოს ასუ-
რასტანისა, და წარსცა ძღვენი დიდალი. და აღუ-
თქა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა
ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძღვ-
ენი მისი, და უწოდა შვილად თჟსად, და წარმოსცა
გპრგპნი. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა,
რათა შეეწეოდიან ფარნავაზე“ [ქ. ცხ. I. გვ. 23].

ამდენად, პონტოს სამეფოს პოლიტიკური ორიენ-
ტაციის მქონე აზოს დამარცხების შემდეგ, ფარნა-
ვაზმა უარყო ქართლის განვითარების პონტოს სამე-
ფოს პოლიტიკური ორიენტირი, შეეცადა ქვეყანა გა-
დაეყვანა ახალ – სელევკიანთა სამეფოს პოლიტი-
კურ ორბიტაზე. დიდალი ძლვნით აღჭურვილი მო-
ციქული გაგზავნა სელევკიანთა სამეფოს სელი-
სუფალთან, აღუთქვა მორჩილება და ითხოვა დახმა-
რება პონტოს სამეფოს წინააღმდეგ სამომავლო
ბრძოლებში. სელევკიანთა სამეფო კარზე ელოდნენ

ფარნავაზის მოციქულს, კმაყოფილებითა და ზარ-ზეიმით მიიღეს შუამავალი. უბოძეს ფარნავაზის სელევკიანთა მეფის ძის ტიტული, რითიც ფაქტობრივად მოხდა ფარნავაზის ცნობა-აღიარება საერთაშორისო დონეზე, მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართლის ტერიტორია კი სელევკიანთა სამეფო მმართველთა მზრუნველობის ქვეშ მოექცა. ფარნავაზის გადასცეს ქართლის სამეფო გვირგვინი და სომხეთის ხელისუფლებას გაუგზავნეს ბრძანება – დასმარებოდა ფარნავაზს პონტოს სამეფოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მთელი ეს პოლიტიკური ქმედება გვაფიქრებინებს, რომ ფარნავაზის მიერ წამოწყებული ბრძოლა აზოს მმართველობის წინააღმდეგ იყო სელევკიდების სამეფო კარზე კარგად მოფიქრებულ-დაგეგმილი, დაფინანსებული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა პონტოს სამეფოს გავლენის სფეროდან ქართლის

გამოყვანას, ქართლზე თავისი გავლენის მოპოვებას. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ლეონტი მროველი, სიუ-შეტით – ფარნაგაზის მიერ მდგიმეში განძის პოვნის შესახებ, ფუთავს იმ ფაქტს, რომ სელევკიდების სამეფო კარმა ქართლზე ზეგავლენის მოპოვების-თვის თანხა გაიდო. ამ ჰიპოთეზას ამყარებს მროვე-ლის კიდევ ერთი წინადაღება – „მსახურებდა იგი [ფარნაგაზი. ვდ.] ანტიოქოსს, მეფესა ასურასტანისა-სა“ [სელევკიანთა სამეფო, ვდ.] [ქ. ცხ. I. გვ. 25] სიცოცხლის ბოლომდე.

დავუბრუნდეთ ფარნაგაზისა და აზოს ურთიერ-თობებს. როგორც აღვნიშნეთ, მცხეთიდან აზოს გან-დევნის შემდეგ, ის გამაგრდა კლარჯეთში და დაიწყო მზადება ქართლის დაკარგული ტერიტო-რიების დასაბრუნებლად. ბრძოლისათვის მზადებას განაგრძობდა ფარნაგაზიც.

აზოს, პონტოს სამეფოდან მოეშველა ძლიერი ჯარი. „წელსა მეორესა აზონ მოირთნა სპანი საბერძნეთით [პონტოდან. ვ.დ.], განძლიერდა ფრიად და მომართა ფარნავაზს“ [ქ. ცხ. I. გვ. 23].

ფარნავაზმა დაასრულა საბრძოლო სამზადისი. მისი დროშის ქვეშ გაერთიანდნენ: „მცედარი ქართლისანი. უჭმო ქუჯის და ოვსთა ... მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზისნი [სელევკიანთა სამეფოს მხედრიბა, ვ.დ.] სომხითით“ [ქ. ცხ. I. გვ. 23]. როგორც ჩანს, ორივე დაპირისპირებული მხარე კარგად მომზადებულა, ორივემ (პონტოსა და სელევკიდთა სამეფომ) დაივიწყა ფარული შედლი და თავიანთი ჯარები ერთმანეთს დაუპირისპირეს. საბრძოლო მოქმედებები განვითარდა „ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქვა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელი არს ჰური“ [ქ. ცხ. I. გვ. 23].

ქართლზე გაბატონებისთვის პონტოს სამეფოს
შეიარაღებული ძალები დაუპირისპირდა სელევ-
კიდთა სამეფოს არმიას. სამწუხაროდ, ქართლის მო-
სახლეობის დიდი ნაწილი ჩაბმული იყო ამ ძმათა-
მქველელ ომში. სავალალოა, რომ ქართლი გადაიქცა
პონტოს სამეფოსა და სელევებიდთა სამეფოებს
შორის გამართული ომების პოლიგონად. „მოსწდეს
ორგნითვე ურიცხვ. ხოლო იძლივნეს ბერძენი [პონ-
ტოს მებრძოლები. ვ.დ.] ფარნავაზისგან. ივლტოდა
ბანაკი მათი და მოკლეს აზონ, და ურიცხუნი სპანი
მათნი მოსრნეს და ტყვე ქმნენს“ [ქ. ცხ. I. გვ. 23]. ამ
ბრძოლის შემდეგ ფარნავაზის ხელისუფლება კიდევ
უფრო განმტკიცდა. ფარნავაზმა ქართლს შემო-
უერთა კლარჯეთი.

როგორც ჩანს, განსხვავებულად მოაზროვნე
სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებული
პირები ფარნავაზს არ უდევნია. ამას გვაფიქ-

რებინებს ფარნავაზის მიერ აზოს საგვარეულო საკულტო ძეგლების – გაცისა და გაიაშის და თავისი – არმაზის საკულტო ძეგლის ერთ პანთეონში გაერთიანება. ამ მხრივ სრულიად განსხვავებული პოლიტიკა გაატარა ფარნავაზის მემკვიდრე – საურმაგმა, ამის შესახებ ქვემოთ.

პონტოს სამეფოს ჯარების დამარცხებისა და აზოს სიკვდილის შემდეგ, ფარნავაზმა გააერთიანა ქართლი და ეგრისი და გაატარა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის რეფორმები. ამ რეფორმების პოლიტიკური ორიენტირი სელევკიდების სამეფო, უფრო ზუსტად, სელევკიდების სამეფოში გაერთიანებული სპარსეთი გახლდათ. ფარნავაზმა განახორციელა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმა – „მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსობას“ [ქ. ცხ. I. გვ. 25]. შექმნა ცხრა ადმინისტრაციული ერთეული – ამათგან ერთი სას-

პასპეტო და 8 საერისთავო. ფარნავაზმა ხელისუფ-
ლებაში „იშვილა“, დააწინაურა იმ პერიოდის ადგი-
ლობრივი ცნობილი და გამორჩეული გვარის
შვილები, ტომობრივი გაერთიანებების ხელმძღვანე-
ლები, ბელადები, რომლებსაც ხელმძღვანელობის
გამოცდილება ჰქონდათ.

სახელმწიფოს ადმინისტრაციული სტრუქტურა
კი შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

მეფე

სპასპეტი

ერისთაგები

სპასალარნი

ათასის თავი.

„ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა,
განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ
ყოველთაგან მოვიდოდა ხარჯი სამეუფო და საერის-
თავო“ [ქ. ცხ. I. გვ. 25].

სავარაუდოდ, მმართველობის ადგილობრივ სისტემაში, საერისთავოში მონაწილეობას იღებდნენ ხევისთავები. ცხრაზმის (ქსნის) საერისთავოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა ოდენობის სახევისთავოები (მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული) ერთიანდებოდა. „მაშინ მიუბოდა [იუსტინე II-მ, ვ.ლ.] შკდნი ესე ჭვენი განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკაფიონი მას შინა და უწოდა ერისთავ ცხრაზმისჭვენისა“ [ძეგლი ერისთავთა, ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე, ტექსტი გამოსცა, ლექსიკონი და სამიებელი დაურთო შ.მესხიაშ. წიგნში: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის 1954, გვ. 346. ხაზგასმა ჩემია – ვ.ლ.].

ფარნაგაზმა ქართლის სახელმწიფო ენად გამოაცხადა ქართული ენა – „ესე ფარნაგაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთა-

განი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა
იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვისიერ ქარ-
თულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“
[ქ. ცხ. I. გვ. 26]. როდესაც ფარნავაზი ოცდაშვიდი
წლის გახდა ის სელევკიდთა დახმარებით გამეფდა
და შემდგომ პოლიტიკური ორიენტაცია არ შეუცვ-
ლია – „მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა ასურა-
სტანისასა. [სელევკიანთა, კლ.] და ყოველნი დღენი
მისნი, რად დაჯდა, მშვიდობით დაყენა, და აღაშენა
და განაგსო ქართლი“ [ქ. ცხ. I. გვ. 25].

ამდენად, რეფორმების განხორციელებით, სა-
ხელმწიფოსთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის
შექმნითა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენ-
ტირის ზუსტად განსაზღვრა-წარმართვის შედეგად,
ფარნავაზმა შექმნა ქართლის სახელმწიფო. ამიტო-
მაც მოიხსენიებს ლეონტი მროველი ფარნავაზს

ქართლის პირველ მეფედ ფარნავაზი მეფობდა დაახლოებით ძვ.წ. 328-263 წლებში.

აზოს დაღუპვის შემდეგ პონტოს სამეფოს გარკვეული დროის განმავლობაში აღარ უწარმოებია ბრძოლები ქართველთა წინააღმდეგ. „ვერდარა იძიეს შური ბერძენთა [პონტოს სამეფო, ვღ.] მის [ფარნავაზი, ვღ.] ზედა, რამეთუ უცალო იყვნენ ბერძენნი ბრძოლისაგან პრომთასა“ [ქ. ცხ. I. გვ. 25].

ერისთავთა გამოსვლა მეფე საურმაგის წინააღმდეგი

ფარნავაზის გარდაცვალების შემდეგ (დაასაფლავეს ქართლის მთაზე არმაზის კერპის წინ) სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი საურმაგი – „ამის წილ მეფე იქმნა მე მისი საურმაგ“ [ქ. ცხ. I. გვ. 26].

საურმაგის გამეფებისთანავე ქართლში მისი საწინააღმდეგო ფარული ქმედებები დაწყებულა. აჯანყებისთვის მზადება ჩუმად მიმდინარეობდა და მასში აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელი ერისთავები ყოფილან ჩაბმულნი. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ერისთავებთან ერთად, საურმაგის მოწინააღმდეგენი იყვნენ ის ადგილობრივი მცხოვრები, რომლებზეც ერისთავები გავლენას ახდენდნენ და რომელთა საცხოვრისშიც მეფე საურმაგმა გამარჯვების შემდეგ ჩამოასახლა ჩრდილო კავკასიელები (იხ. ქვემოთ). ლეონტი მროველის მიხედვით ამ შეთქმულების მიზანი ფარნავაზის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი მოწყობის დამხობა და, სავარაუდოდ, აზოს მმართველობის პერიოდის დაბრუნება იყო.

ამდენად, ქართლში უაღრესად რთული სიტუაცია შეიქმნა, მოსახლეობა პოლარიზებული გახდა.

დათ. მისი შედარებით მცირე ნაწილი, „პრომთა იგი
აზნაურნი“ [ქ. ცხ. 1. გვ. 26], ანუ აზოს ყოფილი თა-
ნაგუნდელები, რომელნიც განუდგნენ აზოს, კმაყო-
ფილნი იყვნენ საურმაგის მიერ გატარებული პრო-
სელევეკიდური პოლიტიკით. ხოლო მეორე, საკმაოდ
მრავალრიცხოვანი ნაწილი, ერისთავები და მათ და-
ქვემდებარებაში მყოფნი, უკმაყოფილონი ბრძანდუ-
ბოდნენ და მოითხოვდნენ ქვეყანა დაბრუნებოდა
ძველ დროს, ანუ პოლიტიკური განვითარების კურსი
საურმაგს პონტოს სამეფოსკენ უნდა მიემართა. „მას
ჟამსა შინა ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა
და ოქუეს: არა კეთილ არს ჩუქნდა, რაითამცა ვმსა-
ხურებდეთ ნათესავსა ჩუქნსა, არამედ ვიყოთ ერთად
და მოგპლათ ჩუქნ საურმაგ. და ვიყვნეთ ჩუქნ თავი-
სუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემ-
დეთ ხარჯსა ვინცა-ვინ გამოჩნდეს მძლა. რამეთუ
ესრეთ ყოფითა უფრო განვისუქნებო“. განამტკიცეს

განზრახვა და მოკლვა საურმაგისი“ [ქ. ცხ. I. გვ. 26]. სავარაუდოდ, პონტოს სამეფოს ხელისუფალთა დაპირისპირება რომთან ამ პერიოდისთვის დასრულებული იყო – „უცალო იყვნენ ბერძენი ბრძოლისაგან პრომთასა“ [ქ. ცხ. I. გვ. 25] – და ელოდებოდნენ შესაფერის დროს, რათა ქართლი კვლავ აღმოჩნდნენ პონტოს სამეფოს ხელისუფალთა დაქვემდებარებაში. როგორც ჩანს, საურმაგის გამეფების დრო ჩათვალეს საუკეთესო პერიოდად აჯანყების მოსაწყობად და დაიწყეს სათანადო მზადება. მაგრამ შეთქმულება გამჟღავნდა. საურმაგი ფარულად გაეცალა მცხეთას, წაიყვანა დედა და გადავიდა დურძუკეთში – ჩრდილოეთ კავკასიაში დედის მმასთან. სადაც დაიწყო აქტიური მოქმედება შეთქმულ ერისთავთა წინააღმდეგ. შემართებულმა ქმედებებმა შესაბამისი შედეგი გამოიღო. მალე საურმაგის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ მისი მომხრე

მებრძოლები ქართლიდან. „პრომთა იგი აზნაურნი... რქუეს საურმაგს... ვართ ჩუენ მტკიცე ერთგულებასა შენსა... გავიხსენოთ: „ესე აზონ მათ პრომთაცა ზედა იყო მესისხლე და მოესრნეს მრავალნი მათგანნი“ [ქ. ცხ. I. გვ. 20]. საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა... საურმაგ შეკრიბა დურძულეთიცა, და წარმოემართა ქართველთა ზედა. და ვერავინ წინააღმდეგი მას. და დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი მისნი“ [ქ. ცხ. I. გვ. 26-27]). მეფე საურმაგმა შეთქმულნი დასაჯა, „დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი“ [ქ.ცხ. I. გვ. 27].

სამწუხაროდ, ქართლისთვის სახელმწიფოთა ურთიერთბრძოლაჭიდილს შეეწირა მოსახლეობის დიდი ნაწილი. მეფემ ზოგიერთი მოწინააღმდეგე შეიწყალა და შემოირიგა, უფრო მეტად გაამაგრა მცხეთა. „უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისა და

ქართლისათა“ [ქ. ცხ. I. გვ. 27]. ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩამოასახლა. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები დურძუკები ამ პერიოდში მეტად გამრავლებული (საკმაოდ ძლიერნი) ყოფილან. „ხოლო განმრავლებულ ყვნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასისნი... და ვერდარა იტევდა დურძუკეთი“ [ქ.ცხ. I. გვ. 27], რომელნიც შემდგომ ადგილობრივ ქართულ ტომებს შეერია. „რომელნიმე მათგანი წარჩინებულ ყვნა და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელი არს სუანეთი“ [ქ. ცხ. I. გვ. 27]. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ მეფე დასჯიდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების პიროვნებებს, ანუ მათ, ვისაც ქართლის სამეფოს პონტოს სამეფოსთან კავშირში მოიაზრებდა, მათსავე საგანმგებლო ტერიტორიებზე კი, ჩრდილო-კავკასიელებს ჩამოასახლებდა. ეს ტერიტორიები საკმაოდ ვრცელი ჩანს. ლეონტი

მროველის აღწერით, შექმნილი ვითარება ამგვარია: ქართლის მთიანეთის საკმაოდ დიდ ალაგზე მცხოვრები მეფე საურმაგის წინააღმდეგ ერისთავების ხელმძღვანელობით აჯანყებულან. აჯანყებულ მთიელებს, როგორც ჩანს, სურდათ, ძველი (აზოს მმართველობის) დროის რესტაგრაცია. მათი დოზუნგი უნდა ყოფილიყო – მეტი თავისუფლება, ნაკლები გადასახადი. აჯანყების მეთაური ერისთავების მიზანი კი ყოფილა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მიერ არჩეული სელეკციდური პოლიტიკური კურსის შეცვლა პონტოს სამეფოს პოლიტიკური ორიენტაციით. ამდენად, ერისთავების თაოსნობით მოსახლეობის ამბოხი, საგარაუდოდ, დაკავშირებული იყო გადასახადების გადახდა არგადახდასთან. აზოს მმართველობის დროს მოსახლეობა ძალიან მცირეოდების გადასახადებს იხდიდა, ფარნავაზმა კი ქსოდება გაზარდა. ჩანს, მეფე საურმაგმა ქართლის

მთიანეთის ამბოხებული მოსახლეობა (მთის მოსახლეობა ხასიათდება კონსერვატიულობით) ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა და განსხვავებულად მოაზროვნეთა სისხლის მდინარეები ადინა, ხოლო მათ ადგილას დურძუკეთის მცხოვრებთა ნაწილი ჩამოასახლა. ე.ი. დაურბევიათ ადგილობრივი მცხოვრებლები, დაუნგრევიათ დასახლებული ტერიტორიები, გაუდიათ უამრავი მსხვერპლი, მშვიდობიანი მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში დეპნილად ქცეულა. ამდენად, ერისთავთა შეოქმულება მეფე საურმაგის წინააღმდეგ პონტოს სამეფოს ხელისუფალთა მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო, რომლის გამარჯვების შემთხვევაში ქართლის ხელისუფლება შეიცვლიდა პოლიტიკურ ორიენტაციას და მოექცეოდა პონტოს სამეფოს გაგლენის ქვეშ. მაგრამ, შეოქმულების გამჟღავნების გამო ეს ვერ განხორციელდა.

ამდენად, ერისთავთა გამოსვლა მეფე საურმაგის წინააღმდეგ იყო ორი დიდი სახელმწიფოს (პონტოსა და სელევკიდთა) შეფარულ-შენიდბული ბრძოლა მსოფლიოში გავლენის სფეროების განაწილებისთვის. საურმაგმა „შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა, და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა.

და მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანისასა“ [სელევკიდების სამეფო, ვღ.] [ქ. ცხ. I. გვ. 27]. საურმაგი მეფობდა დაახლ. ძვ.წ. 263-230 წლებში.

საურმაგის მეუღლე იყო სპარსი, ბარდავის ერისთავის ასული, ბარდავის საერისთავოს კი, აქემენიდები განაგებდნენ. მაშასადამე, ეს ქორწილი ითვალისწინებდა ქართლისა და სპარსეთის მეფეთა კავშირების კიდევ უფრო განმტკიცებას. „მოიყვანა ცოლი სპარსი, ასული ბარდაველის ერისთვისა“ [ქ.ცხ. I. გვ. 27]. მეფე საურმაგს გაუ (მემკვიდრე), არ ჰყავდა „ესხნეს მის თანა ორნი ასულნი, და არა

ქსუა ძე“ [ქ. ცხ. I. გვ. 27]. მემკვიდრის არყოლას, სავარაუდოდ, განიცდიდნენ, როგორც ქართლის ისე, სპარსეთის (სელევკიდთა) მეფეთა კარზე. რის შემდგომაც ქართლისა და სპარსეთის მმართველი ელიტის კიდევ უფრო მეტად პოლიტიკური დაკავშირების მიზნით, საურმაგმა თავისი ერთ-ერთი ასული დააქორწინა ცოლის ახლობლის ვაჟზე, აღიარა მემკვიდრედ და გადასცა საუფლისწულოდ ქალაქი გაჩიანი და სამშენებლის საერისთავო. „მოიყვანა სპარსეთით შვილი ნებროთისი, ნათესავითგან ცოლისა მისისა, დედის დისწული, და დაიჭირა იგი შვილად, რომელსა ერქუა სახელი მირვან, და მისცა ასული თვესი ცოლად, ქალაქი გაჩიანი და საერისთაო სამშენებლისა“ [ქ. ცხ. I. გვ. 27]. მეორე ასული კი მიათხოვა ქუჯის შვილს. „ერთი ასული მისცა ძესა ქუჯისსა, მამის დისწულსა თვისსა.“ [ქ. ცხ. I. გვ. 27].

ამ გადაწყვეტილებას შემდგომში დიდი ვნებათა-
ღელვა მოჰყვა (იხ. ქვემოთ).

ქართლის (იბერიისა და კოლხეთის) ხელისუ-
ფალთა ახლო ურთიერთობა თანადროულ აქემენი-
დურ ირანთან და ანტიკურ სამყაროსთან სარკისე-
ბურად აირეპლა ქართულ კულტურაზე. „ვანში
[დასავლეთ საქართველო, ვ.დ.] ნაპოვნი ოქროს დია-
დემა,... თავისი ფორმით წმინდა კოლხურია, მაგრამ
მისი მორთულობა მეტად რთულია...

ვანის დიადემა ... ადგილობრივი ოსტატის ნახე-
ლავია, იგი [ოსტატი, ვ.დ.] აღზრდილი იყო ძველ
წინააზიურ ტრადიციებზე, მაგრამ განიცდიდა თანა-
მედროვე ირანული და, აგრეთვე, რამდენადმე ბერძ-
ნული ხელოვნების გავლენას... ვანში ნაპოვნი...
ოქროს საყურეები ეტლზე მდგარი ცხენოსნების გა-
მოსახულებით, მოგვაგონებს ახალგორის სასა-
ფეთქლებს და მათთან ერთად სრულიად უყოფ-

მანოდ ადგილობრივ ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ...
განის მდიდრულ სამარხებში ნაპოვნია, აგრეთვე,
ოქროს სამაჯურები, რომელთა ბოლოები შემცულია
ცხოველთა თავების სკულპტურული გამოსახულე-
ბებით. მათგან ერთი ნაწილი, სრულიად აშკარად
შესრულებულია აქემენიდური სტილით და იმე-
ორებს ძვ.წ. V-IV სს. ფართოდ გავრცელებულ ცხო-
ველსახოვან სამაჯურებს“ [ოთ. ლორთქიფანიძე,
განის ნაქალაქარი, წიგნში: ვანი I, არქეოლოგიური
გათხრები, 1972, გვ. 14-18].

ფარნაგაზის მიერ ქართლისთვის სწორად განსა-
ზღვრულმა ქვეყნის პოლიტიკურმა ორიენტირმა,
ზოგიერთი უარყოფითი შედეგის მიუხედავად, დადგ-
ბითი გავლენა მოახდინა ქვეყანაზე. სელევკიდებმა,
თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ქართლის
გაძლიერებასა და სახელმწიფოებრივ გაერთიანებას
შეუწყვეს ხელი. მეფები – ფარნაგაზი და საურმაგი

მსახურებდნენ „მეფესა ასურასტანისასა“, ... „მეფობდა საურმაგ ბედნიერად მრავალთა წელთა“ [ქ. ცb. I. გვ. 27].

მირვან ნებროთიანის მეფობა

(ძვ.წ. 230-180 წწ.)

საურმაგის შემდეგ ქართლის მეფე გახდა მისი მემკვიდრე – მირვან ნებროთიანი. გამეფებისთანავე მირვან მეფეს შეექმნა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ დურძუკებისგან გარკვეული სირთულეები. დურძუკებმა შეძლეს მობილიზება. დაესხნენ თავს და დაარბიეს კახეთი და ბაზალეთი, რის შემდგომაც დურძუკები და მათთან გაერთიანებულნი დაბრუნდნენ უკან. დურძუკთა დამარბეველი ლაშქრობის აღსაკვეთად მირვან მეფემ მოაწყო საპასუხო

ლაშქრობა. მეფის ამ ლაშქრობაში მონაწილეობა
მიუღია ქართლის ყველა ადმინისტრაციულ-ტერი-
ტორიულ ერთეულს, საერისთავოებს. მემატიანე გან-
საკუთრებულად ასახელებს საურმაგ მეფის მიერ
გადმოსახლებულ დურძუკებს, რომლებიც დამორჩი-
ლებიან მეფე მირვანის ბრძანებას. „მაშინ მირვან
მეფემან მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლი-
სათა, და შემოკრიბნა ყოველნი სპანი, მჯედარი და
ჭუეითი, და ყოველნი კავკასიანნი იყვნეს სარწმუ-
ნოდ მორჩილებასა ზედა მირვანისსა, რომელნი გარ-
დამოვლინებულ იყვნეს საურმაგ მეფისაგან, თვინიერ
ჭართალთასა. შემოკრიბნა ესე ყოველნი და წარე-
მართა დურძუკეთს“ [ქ. ცხ. I. გვ. 28]. მეფე მირვანის
საბძოლო სამზადისის შესახებ ადრევე გაუგიათ
დურძუკებს და, შესაბამისად, დაუწყიათ სამზადისი,
გაუმაგრებიათ სახდვრები. „შეკრძეს დურძუნი და

დაუდგეს სიმაგრეთა ზედა გარდასავალთა გზასა
მას“ [ქ. ცხ. I, გვ. 28].

დურძუკებთან ბრძოლის აღწერისას ლეონტი
განსაკუთრებულად აქებდა მირვან მეფის გმირობას.
„ვითარცა ვეფხი სიმჯნითა, ვითარცა ლომი ზახი-
ლითა, იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი. ხოლო
მირვანს ვერ ჰკუთდა მახული დურძუკთა, ვითარცა
კლდესა სიპსა, და დგა უძრავად, ვითარცა კოშკი
მტკიცე. და გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, და
მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ, ხოლო იძლივნეს დურ-
ძუკნი და ივლტოდეს“ [ქ. ცხ. I, გვ. 28]. დურძუკთა
ჯარის დიდი ნაწილის განადგურების შემდეგ ქართ-
ველთა შეიარაღებულმა ძალებმა მოაოხრეს დურძუ-
კეთი და ჭართალი, უპან წამოსვლისას კი გადმოსა-
სვლელი გზა-ბილიკები ქვიტკირის კედლით ჩაკეტეს
და ამით ქართლში გადმომავალი გზა-ბილიკები
მირვანმა თავის კონტროლს დაუქვემდებარა.

„մռառքրա դշրժեցնո ճա ჭարտալո. ճա Շեծնա կարնո վարչութուա, ճա շի՞րդա սաելագ ճարշեցնա. ճա ճաջճա մորցան մցետաև, մյօռնեցն եցնոյրագ ճա շմո՛մաց“ [Ժ.Ը. Ց. I, 28]. մորցան վարտալ Շո շմեցուա ճա ելոյցնուու մշ.Վ. 230-180 վլյեծնո. մաս վայենու շան- զոտարյեցն ձուութույրո ցյիո առ Շյուցլուա „մյօռնեցն եցնոյրագ ճա շմո՛մաց... ճա մեսեյրյեցն օցո մյօցյսա օսյրասըանյելուասա“ [Ժ.Ը. Ց. I. Ց. 28].

այլու մալուան մենո՛մբելոյցանուա լյունիցն յուղա յրտո մոնո՛մեցն: „եռլու մորցան զյր ձկյուտուա մաեցլու դշրժեցնուա, զոտարցա կլուցյսա սուսա ճա լցա շմրացագ, զոտարցա յուշյո մթքույ“ [Ժ.Ը. Ց. I. Ց. 28]. այ, ჩյմո անրուու, լյունիո մօցցանո՛մեցն, ռոմ վարտ- ցլուցյս լուտոնուա մռառցյեցն-ճամշմացյեցն թյենուու- ցուա շյաց առցույցնու ձյունդատ. եռլու դշրժեցն, ույցյ ռոցորց ամ ձյրուուու ծցցր ևեց եալնես, լու- տոնուա ճամշմացյեցն թյենուուուց առ Շյշմլուու.

ახალი ტექნოლოგიით დიოთონის, რკინისგან დამზა-
დებული მახვილებით შეიარაღებულ მეომრებს, ბრი-
ნჯაოს მახვილებით შეიარაღებული მებრძოლები
რეალურ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ, რაც
აისახა დურძუკთა და ქართველთა ბრძოლის შედეგ-
ზე (რადგან ლიონის, რკინის მოპოვება, დამუშა-
ვება სცილდება ჩვენი ინტერესის სფეროს, ადარ
განვიხილავთ).

ქართლის სამეცნ იყო სელევკიდების სახელ-
მწიფოს შემადგენლობაში მანამ, სანამ ისტორიის
სცენაზე არ გამოჩნდა ახალი ზემძლავრი სახელ-
მწიფო – რომის იმპერია, რომელმაც ძვ.წ. 190 წელს
ქ. მაგნეზიასთან სასტიკად დაამარცხა სელევკიდებ-
ის სამეცნო, რასაც ამ სამეცნოს სახელმწიფოებრივი
გაქრობა მოჰყვა. სელევკიდების სამეცნოს ნანგრევებ-
ზე წარმოიშვა რამდენიმე პატარა, დამოუკიდებელი
სახელმწიფო, მათ შორის, ქართლის სამეცნო.

ახლად წარმოშობილი დამოუკიდებელი სამეფოები გრომანეთს ებრძოდნენ და ამის გამო ხან ძლიერდებოდნენ, ხან სუსტდებოდნენ.

ქვ. შ. III საუკუნის შუა ხანებში დაიწყო სელევკიდთა სამეფოს თანდათანობითი დასუსტება. ჯერ ჩამოსცილდა შუა აზიური პროვინციები (ბაქტრია), შემდგომ პართია, სადაც ხელისუფლება არშაკიანთა გვარმა ჩაიგდო ხელში „ეს სამეფო თანდათან გაძლიერდა და ქვ. II ს. ბოლოს წინა აზიის უძლიერებელი სახელმწიფოდ იქცა“ [საქ. ისტ. ნარკვ. I, გვ. 465]. ვანის ტბის მიდამოებში ჩამოყალიბდა ორი სომხური სამეფო – დიდი და მცირე. ამათგან განსაკუთრებით გაძლიერდა დიდი სომხეთის სამეფო, რომელიც დიდ ინტერესს იჩენდა ქართლის ანუ იბერიის სამეფოს მიმართ, ხოლო მცირე სომხითის სამეფო ისწრაფოდა დასაცლეთ ქართული ანუ კოლხური გაერთიანებების წინააღმდეგ. დიდი სომხეთის

სამეფოს არტაშესი მართავდა. „მას ჟამსა შინა მეფე იქმნა სომხითს რომელსა ერქეა არშაკ“ [ქ. ცხ. I. გვ. 28].

როგორც აღვნიშნე, ქართლის სამეფომ სელევ-
კიდთა სამეფოს დამარცხება-დაშლის შემდეგ სხვა
სამეფოებთან ერთად მიიღო დამოუკიდებლობა. სამ-
წუხაროდ, ქართლის სამეფოს მმართველი ელიტა
მოუმზადებელი შეხვდა ქვეყნის დამოუკიდებლობას.
ალდო ვერ აუღო, ვერ გაანალიზა დამოუკიდებელი,
თავისუფალი ქვეყნის ხელმძღვანელობის წინ მდგო-
მი რთული ამოცანები, ვერ გაატარა დირსეული
პოლიტიკური ქმედებები, რის შედეგადაც დიდი სომ-
ხეთის სამეფოს ხელმძღვანელობამ, რომლებმაც
სწორედ შეაფასეს და კარგად გაანალიზეს შექმნი-
ლი ვითარება, აიძულა ქართლის მმართველობა
სომხეთის სამეფოს სასარგებლოდ დაეთმო ქვეყნი
ქართლის და სხვა ტერიტორიები. კერძოდ, „პარი-

ადრეს ქალთვები, ხორზენე და გოგარენე, რომელიც
მტკვრის გადაღმა არის“, ხალიბებს და მოსინიკებს
კი კარენიტი და ქსერქსენე, რომლებიც მცირე
არმენიის მეზობლად არიან, თუ მისი ნაწილები
არიან, და ა.შ.“ [საქ. ისტ. ნარკვ. I. გვ. 446]. ანუ,
სომხეთმა დაიქვემდებარა შემდგომი პერიოდის
სპერი, ტაო, კოლა...

ქართლისათვის ჩამოჭრილი ტერიტორიები სომ-
ხეთმა სხვადასხვანაირად დაიქვემდებარა. კერძოდ:
ქვეყნის ნაწილი პირდაპირ მიიერთეს, დარჩენილი
ტერიტორია კი, მაგ.: გოგარენე-გუგარქი – საპი-
ტიახშოს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთე-
ულად გააერთიანეს. ვფიქრობ, ამ ქმედებებით სომ-
ხეთი ცდილობდა ზეწოლას ქართლის ხელისუფ-
ლებაზე, რათა ქართლის ხელისუფლებას უარესო
დამოუკიდებლობა და შესულიყო მთლიანად დიდი
სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში. ახლად შექმ-

ნილი საპიტიახშოს, რომელიც მთლიანად დიდ სომხეთზე დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ერთეული იყო, დაუნიშნეს ქართული წარმომავლობის პიტიახში, როგორც დამოუკიდებელი მმართველი – მიპრდატი. „ამას მოწმობს სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომ არტაშესმა „ქართველთა დიდ პიტიახშს მიპრდატს მიანდოჩდილოეთის მთებისა და პონტოს ზღვის გამგებლობა“ [ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გჭეიშვილი, ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე, ობ., 2014, გვ. 48]. როგორც ჩანს, დიდი სომხეთის სამეფო, მეზობლად მდებარე ქართლის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ვერ გვუძოდა. განუწყვეტელი პროვოკაციებითა და ქართლის ხელისუფლებაზე ზეწოლით ცდილობდა ქართლის მმართველ ელიტას, თავისი ნებით ეთქვა უარი ქვეყნის

ნის დამოუკიდებლობაზე და პოლიტიკური ორიენტირი დიდი სომხეთის სახელმწიფოსკენ აეღო.

იმისთვის რომ, როგორმე შეეჩერებინა დიდი სომხეთის აგრესიული პოლიტიკა, ქართლის სამეფო კლირი გადაწყვიტა დინასტიური ქორწინებით ეიძულებინა სომხეთი წასულიყო გარკვეულ დათმობებზე და პატივი ეცა ქართლის სამეფოს ტერიტორიული მთლიანობისთვის. მეფე მირვანმა დიდი სომხეთის მეფე არშაკს შესთავაზა, რომ სომხეთის უფლისწული დაქორწინებულიყო ქართლის მეფის ასულზე და ასეც მოხდა. „ეზრახა მირვან არშაკს, და მისცა ასული თვის ძესა არშაკისსა, არშაკს“ [ქ. ცხ. I. გვ. 28]. მაგრამ ქართლის სამეფო კარის ამ ქმედებამ შევიდობა არ მოიტანა, პირიქით, გარკვეული პერიოდის შემდეგ ახალი სირთულეები და დაძაბულობა შექმნა.

მეფე მირვანის გარდაცვალების შემდეგ ქართლის მეფედ ეკურთხა მისი შვილი ფარნაჯომი [ქ. ცხ. I. გვ. 28].

ფარნაჯომი და ქართლის პოლიტიკური ორიენტაცია (ძგ.წ. - 180-170 წწ.)

მეფედ კურთხევისთანავე ფარნაჯომმა გადაწყვიტა ქართლის დამოუკიდებლობის განმტკიცება. მან დაიწყო ზრუნვა ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გასაძლიერებლად, რისთვისაც სათანადო ღონისძიებები გაატარა. „ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და ამან აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ, და ამართა ზადენს. და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელი არს ნეკრ-

სი“ [ქ. ცხ. I. გვ. 29]. მაგრამ, სავარაუდოდ, ქართლის სამეფო კარზე, მალევე გაიგეს, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას ვერ შეძლებდნენ, რადგან ქართლის ქვეყანას დიდი სომხეთის ქვეყნისთვის წინააღმდეგობის გაწევის რესურსი არ გააჩნდა. როგორც ჩანს, ამის შემდეგ ქართლის სამეფო კარმა გადაწყვიტა სომხეთისთვის დიპლომატიური მეთოდებით დაეპირისპირებინა პართიის სამეფო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა სპარსეთის ყოფილი სამეფოს ტერიტორიები. გავიხსენოთ: მეფე ფარნაჯომის მამა იყო მირვან ნებროთიანი, რომელიც თავის დროზე იშვილა ქართლის მეფე საურმაგმა. მირვანი იყო მამის მხრივ სპარსეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ბარდავის საერისთავოს ერისთავის შვილი, ხოლო დედის მხრივ მეფე საურმაგის შვილი. პონტოს სამეფოს ხელისუფლება სიამოვნებით დგბულობდა ქართლს თავის

გავლენის სფეროში, ოდონდ ქართლის ხელისუფლებას უნდა დაემტეიცებინა, რომ ქართლის პოლიტიკური ელიტა ცვლიდა პოლიტიკურ ორიენტირს და მზარდიც იღებდა პონტოს სამეფოს, ანუ სპარსეთის პოლიტიკურ ორიენტირს, ქართული სახელმწიფოს მომავალი განვითარებისთვის. ამისთვის კი, როგორც ჩანს, ქართლის სახელმწიფოს მმართველ ელიტას ოფიციალურად უნდა უარესო კერპთაყვანისმცემლობა ანუ ფარნავაზის (არმაზის) კულტი და მიეღო სპარსული სულიერება – ცეცხლთაყვანისმცემლობა. „შეიყვარა (ფარნაჯომმა, ვ.დ.) სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ პქპნ მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა“ [ქ. ცხ. I. გვ. 29].

მევე ფარნაჯომის მიერ პოლიტიკური ორიენტირის – პონტო-სპარსეთისკენ მკვეთრ შეტრიალებას,

დიდი სომხეთის ხელისუფალნი მშვიდად არ შეხვედრიან, გააბეს ინტრიგების დიდი ქსელი და დაიწყებს ქართლის ერისთავების მომზადება ქართლის სამეფო კართან დასაპირისპირებლად. მრავალრიცხოვანი აგენტების და დიდი ფულის საშუალებით სომხეთის სამეფო კარმა ქართლის ქვეყანაში მაღე გაავრცელა მოსაზრება, რომ ქართლის სამეფო კარმა, და პირადად მეფე ფარნაჯომმა, უდალატა მამა-პაპურ სჯულს, უარყო ფარნავაზის კერპი. „იწყოცხადად გმობად კერპთა“ [ქ. ცხ. I. გვ. 29]. როგორც ჩანს, დიდი სომხეთის სახელმწიფოს აგენტები თავისუფლად დადიოდნენ ქართლში და მოუწოდებდნენ მოსახლეობას გამოსულიყვნენ ქართული სულიერების ანუ ფარნავაზის კერპის და საერთოდ, კერპთაყვანისმცემლობის გადასარჩენად. „ამისთვის მოძულებს იგი (ფარნაჯომი, გ.ლ.) მკვდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ,

მაშინ შეითქვნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომქეთა მეფისა და რქ'ეს: „მეფე ჩუენი გარდატდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არდარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, შემოიღო სჯული მამული და დაუტმვა სჯული ღედული. აწ არდარა დირს არს იგი მეფედ ჩუენდა. მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩუენთა. გუაშუელე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არშაკ და ღედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩუენთა“ [ქ. ცხ. I. გვ. 29].

ამდენად, დიდი სომხეთის სამეფო კარმა, მიუხედავად ქართლის მეფე ფარნაჯომის, წინააღმდეგობისა, შეძლო დიდი სომხეთის სამეფოს შეყვანა თავისი სამეფოს გავლენის სფეროში. აიდო მკვეთრ-

ად განსხვავებული ანტისომხური კურსი; დიდმა სო-
მხეთის ხელმძღვანელობამ არ დატოვა ყურადღების
გარეშე და ქართლის სამეფო კარის, სომხეთის სა-
წინააღმდეგო ქმედებებს დაუპირისპირა ქართლის
სამეფოს შიდა განხეთქილება, ანუ ქართლის ერის-
თავთა გამოსვლა სამეფო კარის და თვით მეფე
ფარნაჯომის წინააღმდეგ. ამდენად, დიდი სომხეთის
ხელმძღვანელობამ ქართლის სამეფო კარს დაუპი-
რისპირა ადგილობრივი ხელისუფალნი – ერისთავებ-
ბი თავიანთ ხელმძღვანელობას – ქართლის სამეფო
კარს. ქართლის ერისთავთა დიდი ნაწილი, სამწუ-
ხაროდ, პყვა დიდი სომხეთის ხელისუფალთა პრო-
ვოკაციას და სომხეთის სამეფო კარზე გაგზავნეს
მოციქულნი თხოვნით, რომელიც შეიძლება სულაც
დიდი სომხეთის სამეფო კარზე იყო შედგენილი –
„არღარა დირს არს იგი (ფარნაჯომი, გდ.) მეფედ
ჩუქრდა. მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის

ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩუქუნთა. გუაშუელე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაჯოშ“ [ქ. ცხ. I. გვ. 29].

სომხეთის ხელისუფლებამ შეძლო და თავიანთი სახელმწიფოს სასარგებლოდ განაწყო და მოკავშირედ გაიხადა ეგრისის მეფე აკე, ძვ.წ. 180-160 წწ. ქართლის ხელისუფლების წინააღმდეგ პრძოლაში. აკე სომხეთის დახმარებით გარკვეულწილად გაძლიერდა, არგვეთი და ქლარჯეთი შეიირთა, მოჭრა საკუთარი ოქროს მონეტა. შემდგომ ქართლზე შეტევა კიდევ უფრო გააფართოვა და დასუსტებულ ქართლს წაართვა „ქართლის სამეფოს ზენა სოფლის ნაწილი ქალაქ უფლისციხითურთ“ [თ. ბერაძე, მ. სანაძე, საქართველოს ისტორია, წიგნი I, 2003, გვ. 57]. შემდგომ დიდი სომხეთის სამეფო კარმა, მიმართა ერთგარ დიპლომატიურ თამაშს, რათა საერთა-

შორისო აზრი თავის სახარგებლოდ განეწყო და ეს
ტექნიკური საკითხიც სწრაფად მოაგვარა.

„მაშინ ერისთავთა ქართლისათა უმრავლესთა
მისცეს მძვლები (სომხეთის მეფეს, ვ.ღ.) და განაც-
ხადეს განდგომა ფარნაჯომისი, მაშინ სომქეთა
მეფე ყოვლითა ძალითა მისითა წარმოემართა
ქართლს. ხოლო ფარნაჯომ მეფემან მოუწოდა სპარ-
სთა და მოიყვანნა სპარსნი ძლიერნი (ხაზგასმა
ჩემია, ვ.ღ.) და რომელნიმე დარჩომოდეს შემოკრიბნა
ქართველნიცა. ხოლო ერისთავნი ქართლისანი გან-
დგომილნი მიეგებნეს სომქეთა მეფესა ტაშირს, და
მუნ შეკრბა სიმრავლე სომქეთა და ქართველთა.
ხოლო ფარნაჯომ მიეგება მუნვე ტაშირს“ [ქ. ცხ. I.
გვ. 29].

ქართლის სამეფოზე გავლენის მოპოვებისთვის
იარაღით ხელში კდლავ დაუპირისპირდა ერთმანეთს
აგრესიულად განწყობილი ორი დიდი მეზობელი:

დიდი სომხეთისა და პართიის (სპარსეთის) სამეფო-ები. კვლავ და კვლავ სხვათა სახელმწიფო ინტერჯ-სების დაცვას, ვითომდა, ქართული სახელმწიფოს გადარჩენისთვის, ეწირებოდნენ ქართველი მამული-შვილები.

მოვლენები კი ამგვარად განვითარდა: „იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი, მოსწყდა ორგნითვე ურიცა, რამეთუ იძლია ფარნაჯომ სომებთა და ქარ-თველთაგან. და მოიკლა ფარნაჯომ და მოსრეს სპა მისი. ხოლო ძე ფარნაჯომისი მირვან, წლისა ერთისა ყრმა, წარიყვანა მამამძუმემან მისმან, და ივლტოდა სპარსეთს. ხოლო სომებთა მეფემან მო-სცა ძე თვისი არშაჟ“ [ქ. ცხ. I. გვ. 30]. ამდენად, ბრძოლა ქართლზე გავლენის მოპოვებისთვის ორ დიდ მეზობელ აგრესიულ სახელმწიფოს შორის ძგ.წ. 170 წ. დამთავრდა დიდი სომხეთის გამარჯ-ვებით. თუმცა, ლეონტი მროველი აქვე გვიტოვებს

ერთგვარ ინტრიგას – დიდხანს გასტანს დიდი სომ-ხეთის გავლენა, ბატონობა ქართლზე? – „ძე ფარნა-ჯომისი მირვან წლისა ერთისა ყრმა, წარიყვანა მამამტუმემან მისმან, და ივლტოდა სპარსეთს“ [ქცხ. I. გვ. 30]. დიახ, ძვ.წ. 170 წელს სომხური პოლიტიკური ორიენტაციის ქართველებმა დაამარცხეს სპარსული (პართული) პოლიტიკური ორიენტაციის ქართველები, და აი ამ დროს განვითარდა უაღრე-სად მნიშვნელოვანი მოგლენა: ერთი წლის მირვან ფარნაჯომის ძე წაიყვანეს სპარსეთში (პართიაში), რათა იქ გაეზარდათ სპარსული პოლიტიკური ორიე-ნტაციის პოლიტიკოსად და სრულწლოვანების შემ-დეგ დაეხმუნებინათ ქართლის მმართველად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პართიის ხელისუფლება არ ფიქ-რობდა, რომ მომავალში ქართლი მისი გავლენის სფეროში აღარ იქნებოდა.

მევე არშაკი (ძვ.წ. 170-145 წწ.)

ფარნაჯომის სიკვდილის შემდეგ ქართლის მეფედ დაჯდა სომხეთის მეფის ძე არშაკ „დაჯდა მეფედ არშაკ, და დაიპყრა ყოველი ქართლი“ [ქ. ცხ. I. გვ. 30]. აქ, როგორც ჩანს, არშაკს გარკვეული წინააღმდეგობები დაუძლევია. ალბათ, ფარნაჯომის მომხრეები უქმნიდნენ გარკვეულ პრობლემებს და ამიტომაც წერს მემატიანე „დაიპყრა ყოველი ქართლიო“ [ქ. ცხ. I. იქვე]. ფარნაჯომის მომხრეების დამარცხების შემდგომ, არშაკ მეფეს დიდი პოლიტიკური უფლებამოსილება აუდია, რის გამოც მემატიანე წერს „მეფობდა იგი ნებიერად“ [ქ. ცხ. I. გვ. 30]. ანუ, მეფობდა არშაკი თავის ნებაზეო, ყოველგვარი წესისა და ტრადიციების დაცვის გარეშე. მიუხედავად ამისა, არშაკი მაინც ელოდა საფრთხეს სამხრეთიდან – სპარსეთიდან და ამიტომაც ამაგრებდა

ქართლს და ქვეყნის სამხრეთ საზღვარს. „უმატა
ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოა-
მტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს ქალაქსა წუნდას“
[ქც. I. გვ. 30]. აქვე მემატიანე არაფერს გვეუბნება
თუ როგორ განვითარდა ქართლის ტერიტორიული
მთლიანობის აღდგენის პრობლემა. დაუბრუნა თუ
არა ადრე წართმეული ტერიტორიები, ან რა გადაწ-
ყვეტილება მიიღო სომხეთმა ქართლის ტერიტო-
რიებზე შექმნილი დამოუკიდებელი ადმინისტრა-
ციული ერთეულის გოგარენას საპიტიახშოსთან მი-
მართებით. სავარაუდოდ, ქართლისთვის წართმე-
ული ტერიტორიები სომხეთს, მიუხედავად იმისა,
რომ ქართლი მთლიანად შევიდა სომხეთის გავლე-
ნის სფეროში, არ დაუბრუნებია, არ აღუდგენია ქარ-
თლის ტერიტორიული მთლიანობა.

მეზობელი მძლავრი სახელმწიფოს მიერ, შედა-
რებით სუსტი სახელმწიფოსთვის ტერიტორიის წარ-

თმევა და იქ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (ამ შემთხვევაში გოგარენტის - გუგარექშის საპიტიახშო) შექმნა და ამ ფორმით მიერთება მძღავრი სახელმწიფოს შექმნა და ამ ფორმით მიერთება მძღავრი სახელმწიფოს შექმნა და დაქვემდებარება, ყოველთვის იყო მძღავრი ქვეყნის ინტერესებში. ამ ფორმით წარმეული ტერიტორიის უკან დაბრუნება კი, სუსტი ქვეყნისთვის ადვილი არასდროს იყო და არც ახლა გახდავთ. ამ შემთხვევაში, ან შენი სახელმწიფო უნდა გახდეს მეზობელ მძღავრ სახელმწიფოზე ძლიერი, ან ზემდლავრმა სახელმწიფომ – რომელიც მფარველობს სუსტ სახელმწიფოს, უნდა აიძულოს დამპყრობელი მეზობელი, დათმოს მიტაცებული ტერიტორია. ამ პროცესში კი – ტერიტორიის დასაბრუნებლად ძალზედ მნიშვნელოვანია სადაც ტერიტორიაზე ძალოვანი მოქალაქეთა სურვილი. ალბათ

გოგარენეს-გოგარქშის ტერიტორიაზე ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ და ბუნებრივია სურდათ ქართულ სახელმწიფოში ცხოვრება. ქართლის ხელისუფლება კი დროებით დაპარგულ ტერიტორიაზე ქართულენოვანი მოსახლეობის ადგილზე დამკვიდრებას, სავარაუდოდ, ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებით უწყობდა ხელს.

მკვლევარი ანრი ბოგვერაძე წერს: „გოგარენა, რომელიც სტრაბონის ცნობით, მტკვრის გადაღმა (მარჯვნივ) იყო, სომხეთმა იბერიას ჩამოაჭრა ძვ.წ. II საუკუნის შემდეგ კარგა ხანს სადაცოა ამ ორ მეზობელს შორის, როცა იბერია ძლიერდებოდა და საგარეო ვითარებაც ხელს უწყობდა, ალბათ ახერხებდა ამ მხარის დაბრუნებას (ფარსმან I, ფარსმან II...), მაგრამ შემდეგ, ჩანს, ისევ კარგავდა“ (ანრი ბოგვერაძე, ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 წლის გაყოფის საკითხისათვის, წიგნში, ძირითადი საქართველო-

სა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 88-97,
შენიშვნა 28) შემდგომ მეცნიერი წერს: „საფიქრებუ-
ლია, რომ ქართლმა ის (გუგარენე, ვდ.) დაიბრუნა
ჯერ კიდევ III ს. ბოლოს ირან-რომის ომის დროს
და შემდეგ ნიზიბინის ზავის ახლო ხანებში, რომა-
ელთა შუამდგომლობით საბოლოოდ შემოიმტკიცა“
[იქვე, გვ. 98].

არშაკი მეფობდა ძვ.წ. 170-145 წწ.

მეფე არტაგი (ძვ.წ. 145-143 წწ.)

ქართლის მეფე არშაკის გარდაცვალების შემ-
დეგ სამეფო ტახტზე ავიდა მისი შვილი არტაგი.
არტაგის გამეფების მეორე წელს ქართლის სამე-
ფოს თავს დაესხნენ პართელები (სპარსელები).
„მეორესა წელსა მეფობისა მისისასა მოვიდეს ერის-

თავნი სპარსთანი, სპითა დიდითა“ [ქ. ცხ. I. გვ. 30]. როგორც ჩანს, თავდამსხმელებს სურდათ ქართლის ხელისუფლების შეცვლა და ქართლისთვის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლა, ანუ ქართლის დაბრუნება პართიის (სპარსეთის) გავლენის სფეროში. სომხეთმა ვერ შეძლო სამხედრო ძალით დახმარება, მეფე არტაგს კი სათანადო რესურსი არ გააჩნდა, ამიტომ ქართლის სამეფო კარზე გადაწყდა: მომხდურებისთვის გქნერალური ბრძოლის გამართვის ნაცვლად გამაგრებულიყვნენ ციხე-ქალაქებში და ასე გაეწიათ წინააღმდეგობა. „ვერ წინააღუდგა მათ არტაგ, მეფე ქართველთა, რამეოუ დიდი იყო ძალი სპარსთა, არამედ განამაგრნა ციხენი და ქალაქნი“ [ქ. ცხ. I. გვ. 30]. ბრძოლები გაიწელა, ეს კი სპარსელთა გეგმაში არ შედიოდა. „მოვლეს სპარსთა ყოველი ქართლი, და მთაოვრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი ვერა-რომელი წარიღეს, და წარვიდეს“

[ქ.ც.ხ. I. გვ. 30]. ამდენად,, სპარსელთა მცდელობის მიუხედავად, ქართლის ხელისუფლება კერ შეც-ვალეს და ვერ აიძულეს ქართლის სამეფო კარი გა-დასულიყო სპარსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში. მეფე არტაგი სულ ორი წელი მეფობდა – ძვ.წ. 145-143 წწ.

მეფე ბარტომი (ძვ.წ. 143-125 წწ.)

მეფე არტაგის გარდაცვალების შემდეგ ქართ-ლის სამეფო ტახტზე ადის მისი შვილი ბარტომი – ძვ.წ. 143-125 წწ. სამეფო ტახტზე ასვლისთანავე ბარ-ტომმა, რომელიც გრძნობდა სპარსელთა ახალი შემოტევის საშიშროებას, დაიწყო ქალაქ მცხეთის გალავნის გაძლიერება და, იმავდროულად, ქართ-ლის სხვა ციხესიმაგრეთა დამცავი ზღუდეების გან-

მზარდება. „მეფემან ბარტომ უმატა ზღუდეთა მცხე-
თისათა და ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა“
[ქცხ. I. გვ. 30]. სპარსეთიც არ იყო გულხელდაკრე-
ფილი. ოოგოროც ჩანს, სპარსეთის სამეფო კარზე
კარგად გაანალიზეს წინა, ძვ.წ. 143 წ. მარცხი და
საბრძოლო ტაქტიკა შეცვალეს. პირველ რიგში,
ქართლელ უფლისწულს მირვან ფარნაჯომის ძეს,
რომელიც ერთი წლის ასაკიდან იზრდებოდა სპარ-
სეთში მისცეს კარგი, მეფისთვის შესაფერისი განა-
თლება, ასწავლეს ქვეყის მართვისათვის ყველა სა-
ჭირო წვევა და დააუფლეს სამხედრო ხელოვნებას.
„აღზარდეს სპარსთა ძე ფარნაჯომისი მირვან, ...,
იყო კაცი ქუელი, მგნე, მგედარი, და მრავალგზის
გამოიცადა იგი ბრძოლასა თურქთა და არაბთასა“
[ქ. ცხ. I. გვ. 30-31], რის შემდგომაც სპარსეთის
ხელისუფალნი გადავიდნენ აქტიურ ქმედებებზე.
უფლისწულ მირვანს დაუქვემდებარეს კარგად შეია-

რაღებული და გაწვრთნილი ჯარი. მაგრამ საქმეს ისეთი რაკურსით წარმოაჩენდნენ თითქოსდა, სპარ-სეთი კი არ ცდილობდა ქართლის დაბრუნებას თავის გავლენის სფეროში, არამედ მეფობა-წართმე-ული უფლისწული იბრძოდა კანონიერი უფლების აღდგენისთვის, „მირვან შეკრიბნა სპანი ძლიერნი სპარსეთს, წარემართა ქართლს“ [ქ. ცხ. I. გვ. 31], რომ სპარსეთის სამეფო ხელისუფლებამ კი არ შეკ-რიბა ჯარი, არამედ უფლისწულმა მირვანმა ქართ-ლში მეფობის დაბრუნებისთვის შეკრიბა მოხალისე-ნი და სამხედრო ძალით შემოვიდა ქართლის სამე-ფოს საზღვრებში. მირვანმა გაგზავნა მოციქულები ქართლის ერისთავებთან. მან დაიწყო აქტიური აგი-ტაცია ქართლში. მირვანმა დაგმო მამის საქციელი (ქართული ტრადიციების უარყოფა) და ყველას დაჰ-პირდა მიტემებასა და კეთილდღეობას. „მამამან ჩემ-მან შემოიღო სჯული უცხო თქუენ შორის,... სამარ-

თლად მოიკლა მამა ჩემი,... აწ ნუ არს საურავი და
შიში გულსა თქუენსა სიკუდილისათვეს მამისა
ჩემისა,...წარმართებულ ვარ ძიებად მამულისა ჩემი-
სა, აწ ითუალეთ ჩემგან დიდება და კეთილი“ [ქ.ც.ხ.
I. გვ. 31].

უფლისწულ მირვანის სააგიტაციო მუშაობას
სასურველი შედეგი სწრაფად არ გამოუდია. „ერის-
თავთა ქართლისათა არა შეიწყნარეს ბრძანება მირ-
ვანისი, არამედ ყოველნი მივიდეს წინაშე ბარტომ
ქევისა. ხოლო მცირედნი ვინმე ქართველნი, არა
წარჩინებულნი, წარვიდეს და მიერთნეს მირვანს“
[ქ.ც.ხ. I. გვ. 31].

ამდენად, ქართლის თავისი გავლენის სფეროში
მოქცევისთვის, კვლავ მიმდინარეობდა ბრძოლა ორ
დიდ მეზობელ სახელმწიფოს შორის, ერთი მხრივ
იბრძოდა სომხეთი, რათა შეენარჩუნებინა არსებული
რეალობა, ხოლო მეორე მხრივ პართია, რომლის

შემადგენლობაშიც სპარსეთის დიდი ნაწილი იყო. სამწუხარო ის არის, რომ როგორც ერთ ისე, მეორე მხარეს მეტრძოლთა დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ. „მეფემან ბარტომ შემოიკრიბნა ყოველნი სპანი ქართლისანი, და მოირთო ძალი სომხითით, და მიუგება იგი ხუნანს,... მოვიდა მირვან და დადგა მდინარესა ბერდუჯისასა. და იწყეს ბრძოლად“ [ქ. ცხ. I. გვ. 31].

ქართლზე გავლენის მოპოვებისთვის ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ხუნანის მიდამოებში გენერალური ბრძოლა იმთავითვე არ გამართულა. ბრძოლები მიმდინარეობდა ერთი თვის განმავლობაში, ე.წ. გოლიათთა, ბუმბერაზთა შორის „გამოჩნდეს თრთავე შორის მუნ ბუმბერაზნი. იყვნეს ყოველთა დღეთა ბუმბერაზთა ბრძოლანი თუესა ერთსა: თდეს მათ სძლიან, და თდესმე ამათ სძლიან“ [ქ. ცხ. I. გვ. 31].

გოლიათთა შორის ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელა თავი მირვან უფლისწულმა „მირვან თავის-თავითა მოკლა ცამეტი ბუმბერაზი ქართველთა და სომებთაგანი“ [ქ. ცხ. I. გვ. 32]. ბარტომ მეფე ხედავ-და, რომ გოლიათთა ბრძოლებში მისი გამარჯვების შანსი კლებულობდა. შესაბამისად, მის დაქვემდებარებულ ჯარში საბრძოლო სულისკვეთება ყოველ-დღიურად ეცემოდა და ცდილობდა გენერალური ბრძოლით გამოესწორებინა დასამარცხებლად განწირული სიტუაცია. „მაშინ ბარტომ მეფემან განაწყნა სპანი თვისნი, და მიმართა ყოვლითა სპითა მირვანს, და მუნით მირვან მოეგება სპითა ყოვლითა და იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის. მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ. და იძლივნეს სომებნი და ქართველნი სპარსოაგან, და მოკლეს ბარტომ, მეფე ქართველთა“ [ქ. ცხ. I. გვ. 32].

ამდენად, პართელთა (სპარსელთა) კარგად და-
გეგმილ ბრძოლას, ქართლის კვლავ დასაბრუნებ-
ლად პართიის პოლიტიკური გავლენის სფეროში,
შედეგიც შესაბამისი მოჰყვა. პართიამ ადადგინა
ქართლზე პოლიტიკური გავლენა.

მეფე ბარტომთან ერთად მოკლეს მისი შვილო-
ბილი, მემკვიდრე ქართამ. „ესე ქართამ, ძედ შვილუ-
ბული ბარტომ მეფისა, მასგე წყობასა მოიკლა ბარ-
ტომის თანა. ხოლო ცოლი მისი, ასული ბარტომისი,
უძლები დარჩა, ივლტოდა და წარვიდა სომხითს, და
მუნ შვა ყრმა, და უწოდა სახელად ადერკი, და
იზრდებოდა იგი მუნ“ [ქ. ცხ. I. გვ. 32]. აქ ლეონტი
მროველი გვამზადებს მომავალი ინტრიგებისთვის
სომხეთის მხრიდან.

მეფე მირვანი (ძგ.წ. 125-110 წწ.)

ტახტზე ასვლის შემდეგ მირვანს არ დაუწევია განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ქართლის დიდებულების დევნა.

ის ადგილობრივი ქართლის ხელისუფალნი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით არ იმყოფებოდნენ ბრძოლის ველზე და თავიანთ დაქვემდებარებაში არსებულ ციხესიმაგრეებში იყვნენ გამაგრებულნი, გამოიყვანა და ყველა შემოირიგა. „მისცა მათ ფიცი და აღთქმა“ [ქ. ცხ. I. გვ. 33]. მირვანი გამოირჩეოდა ტოლერანტობით.

ლეონტი მროველის თანახმად, მირვანმა კიდევ ერთი პოლიტიკური აქტი შეასრულა. ქართლის მფუძის (ბარტომი თავადვე მოკლა) ცოლი, რომელიც სამშეილდებო იყო გამაგრებული, იძულებით გამოიყანა და მასზე იქორწინა. რადგან დედოფალი წარ-

მომავლობით სომებთა სამეფო სახლის შვილი იყო „მძლავრობით გამოიყვანა ცოლი ბარტომისი სამშპლდით და შეირთო ცოლად, რომელი შვილი იყო არშაკუნიანთავე“ [ქ. ცხ. I. გვ. 33]. ამით მირვანმა განაცხადა თავისი განზრახვა – კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისა სომხეთის სამეფოსთან.

მირვანის სამეფო ქალაქი იყო მცხეთა. მას დიდნანს არ უმეფია და მისი გარდაცვალების შემდეგ ქართლის მეფე გახდა მისი ძე არშაკი „ნებიერად მეფობდა მცირედუამ და მოკუდა და დაჯდა მის წილ ძე მისი არშაკ“ [ქ. ცხ. I. გვ. 33].

მირვანი მეფობდა ძვ.წ. 125-110 წწ.

მეფე არშაკი (ძვ.წ. 110-95 წწ.)

მეფე მირვანის გარდაცვალების შემდგომ ძვ.წ. 110 წ. ქართლის მეფედ ეკურთხა მისი ძე არშაკი. არშაკი მამით ნებროთიანი – ფარნავაზიანი, ხოლო დედით არშაკუნიანი იყო. მეფე არშაკის სახელთან არის დაკავშირებული კახეთში ქალაქ ნეკრესის კიდევ უფრო გალამაზება და გაშენება „ამან არშაკ განაშუენა ნელქარ, ქალაქი კახეთისა, რომელი არს ნეკრესი“ [ქ. ცხ. I. გვ. 33]. ნეკრესის აშენება ჯერ კიდევ მეფე ფარნაჯომმა დაიწყო „იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“ [ქ. ცხ. I. გვ. 29].

ამ პერიოდში კიდევ უფრო ძლიერდება პონტოს სამეფო მითრიდატე VI-ის ხელმძღვანელობით. პონტოს სამეფო ხელისუფლებამ, რომელიც პოლიტიკურ კავშირში იყო ქართლის სამეფო ხელისუფ-

ლებასთან, ერთობლივი ძალებით შეუტია კოლხეთს. კოლხეთზე შეტევა მოკავშირეთა გამარჯვებით დამთავრდა. ქართლმა დაიბრუნა კოლხების მიერ წარმეული შიდა ქართლის ნაწილი უფლისციხითურთ. კოლხეთის დიდი ნაწილი პონტოს სამეფომ უშუალოდ შეიერთა. მეფე არშაკმა უფლისციხეში თავდაცვითი მშენებლობები გაამაგრა „ჰმატა სიმაგრესა უფლისციხისასა“ [ქცხ. I. გვ. 33].

მალე საერთაშორისო არენაზე კვლავ წარმართა ძალთა გადაჯგუფების პროცესი. ძვ.წ. 95 წელს სომხეთის სამეფო ტახტზე ადის ტიგრან II. მიუხედავად იმისა, რომ პონტოს სამეფოსა და სომხეთის სამეფოებს შორის მეგობრული კავშირის გამო ქართლმა დაიბრუნა ეგრისის მიერ წარმეული ტერიტორიები, დინასტიური ქორწინებით განმტკიცებული კავშირი სომხეთსა და პონტოს შორისაც არსებობდა, სომხეთის მეფე ტიგრან II,

სომხეთის სამეფოს შემდგომი გაძლიერების მიზნით, ქართლის სამეფოს საშინაო საქმეებში აქტიურად ჩაერია; კერძოდ: სომხეთში აღზრდილი მეფე ბარტომის შვილიშვილი ადგრკი, რომელმაც აითვისა მეფისთვის საჭირო ჩვევები და გაიწვრთნა როგორც სამხედრო პირი, გამოემართა ჯარით ქართლის წინააღმდეგ ბარტომისთვის წარომეული სამეფო ხელისუფლების დასაბრუნებლად. „ადერკი მოითხოვნა სპანი სომქეთა მეფისაგან და მოსცნა მას, და წარმოემართა არშაკს ქართველთა მეფესა ზედა, დედის ძმასა თჯხსა“ [ქ. ცხ. I. გვ. 33]. ქართლის მეფედ კი ამ დროს არის სომხეთიდან წამოსული ადერკის დედის ძმა არშაკ მირგანის ძე. მეფე არშაკმაც ჩაატარა შესაბამისი სამხედრო სამზადის: „არშაკ შემოიკრიბნა ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, მოირთო ძალი სპარსეთით და მიგებდა წინა“ [ქ. ცხ. I. გვ. 33]. როგორც ჩანს, აქ აღწერილი

ამბავი ის ტიპური შემთხვევაა, როცა დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელი თავიანთ სახელმწიფოთა ინტერესებიდან გამომდინარე, არად დაგიდევენ არაფერს და არავის, თუნდაც მათი ქმედებები მეზობელ, პარტნიორ სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს; ანუ ლაპარაკობენ ერთს, ხოლო სინამდვილეში კი აკეთებენ მეორეს – ნათქვამის საწინააღმდეგოს, ოღონდ საქმე უსათუოდ უნდა განხორციელდეს მის დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

სომხეთის მძღვანი სახელმწიფო ტიგრან II ხელმძღვანელობით, ქართლზე პოლიტიკური გავლენის აღდგენისთვის უპირისპირდება თავის მოკავშირეს პონტოს მძღვანი სახელმწიფოს ხელმძღვანელს მითრიდატე VI-ეს. ბრძოლა კვლავ ფარულია, თვითიალურად სომხეთში გაზრდილი ადერჯი თხოვლობდა, რომ ქართლის მეფე არშაკს, როგორც

უგანონოდ ხელისუფლების მიმტაცებელს, დაეთმო
სამეფო ხელისუფლება ადერკის სასარგებლოდ.

ამდენად, ქართლზე პოლიტიკური გავლენისთვის
ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მეზობელი დიდი
სახელმწიფოები: ერთი მხრივ, სომხეთი, ქართლში
მეფობის კანდიდატ ადერკის ხელმძღვანელობით და,
მეორე მხრივ, პონტოს სამეფო ქართლის მოქმედი
მეფის არშაკის წინამდღოდობით. „შექრბეს ორნივე
საანი თრიალეთს და დაიბანაკეს მახლობლად ერთ-
მანერთისა“ [ქ. ცხ. I. გვ. 34]. ბრძოლაში, რომელიც
საქმაოდ მხატვრულ ფერებში აღუწერია ლეონტი
მროველს, გამარჯვებული გამოდის ადერკი. „ჰკრა
ადერკი ისარი მკერდსა არშაკისსა და ვერდარა უფ-
არა სიმაგრემან საჭურველისამან; განვარდა ზურგ-
ით, და ჩამოვარდა არშაკ ცხენისაგან“ [ქ. ცხ. I. გვ.
34].

შეფე არშაკის მოკვლის შემდგომ ადერტი სწრა-
ფად დაბრუნდა ძირითად ლაშქართან და მოითხოვა
არ ებრძოლათ ქართველთა წინააღმდეგ, რადგან
მეფე არშაკის სიკვდილის შემდეგ ქართველთა ლაშ-
ქარი უკვე აღარ იყო მისი მოწინააღმდეგ; ახლა
ქართლი უკვე მისი სამართავი ქვეყანა გამხდარიყო,
ქართლის ჯარები კი – მისი შეიარაღებული ძა-
ლების ნაწილი. ადერტი „მივიდა სპათა თანა სომხი-
თისათა, და რქუა მათ: გაფუცებ დმურთთა თქუენთა,
ნუ განმარტებთ მახულთა თქუენთა ქართველთა
ზედა, რამეთუ მამულნი არიან ჩემნი, და აწ მე ვარ
მეფე მათი, ძალითა და შეწევნითა თქუენთა“.
ისმინეს სომებთა ვედრება მისი და დაადგრეს
ადგილსა ზედა“ [ქ. ცხ. I. გვ. 34].

მას შემდეგ, რაც ადერტმა დაასრულა სიტყვით
გამოსვლა სომხების შეიარაღებული ძალების
წინაშე და დაინახა, როგორ დაემორჩილნენ სომ-

ხები, სწრაფად დატოვა ისინი. მივიდა ქართველთა შეიარაღებულ დაჯგუფებასთან და მიმართა სიტყვით: „მე ვარ შვილი მეფეთა თქუენთა, და სუესა ჩემსა მოუცემია მეფობა ჩემდა. აწ მიიღეთ ჩემგან კეთილი და სიხარული. აჲა ესერა აღარა მოუშვნე სპანი სომეხნი თქუენ ზედა“ [ქ. ცხ. I. გვ. 34-35.]

როგორც ჩანს, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები, ადერკის მოციქულებს, ქართველთა სამხედრო დაჯგუფებაში ჩატარებული პქონდათ. ქართველები ემორჩილებოდნენ ადერკის სიტყვას. უფრო მეტიც, ერთგვარი აღფრთოვანებითაც კი შევდნენ ადერკს. „შენ ხარ მეფე ჩუენი; და ვმადლობთ სუესა ჩუენსა, რამეთუ მოგუეცა საზღვარად მეფისა ამის ჩუენისა შვილივე მეფეთა ჩუენთა, გოლიათი და სახელოვანი“... მოიღეს ქართველთა გპრგპნი არშაკისი, და დაადგის ადერკის და წარმოიყვანეს“ [ქ. ცხ. I. გვ. 35]. ამდენად, ქართლის მეფე გახდა

სომხეთში გაზრდილი, სომხური პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პირი, მეფე ადერკი, ქე ბარტომისი არშაკუნიანი.

ზემოთ აღწერილი პოლიტიკური ინტრიგები მხოლოდ ქართლში არ ვითარდებოდა. ამა თუ იმ ქვეჭნის სახელისუფლო ვერტიკალის სათავეში მყოფი პირის, თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა დიდი სახელმწიფოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, არის და იქნება. ხდებოდა იმგვარადაც, როდესაც დიდი სახელმწიფოს მეთაურის შვილი სხვადასხვა ინტრიგების გამო (მაგ., ფულადი რესურსის გამოყენებით) ახერხებდა პატარა ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოსვლას, რათა ამ სახელმწიფოს ხელისუფლება ექცია ერთგვარ წინაპირობად დიდი სახელმწიფოს სახელისუფლო ვერტიკალში მოსახვლელად.

ძველი ბერძენი მწერალი აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორიაში, მოგვითხრობს: „მითრიდატემ... პონტოში რომ დაბრუნდა, გამდგარ კოლხებსა და ბოსფორელებს გაუმართა ომი. ამათგან კოლხები მას შვილს სთხოვდნენ მითრიდატეს, რათა მიეცა მათვის მეფედ და [როგორც კი] მიიღეს, მაშინვე დამორჩილდნენ. მაგრამ მეფემ იეჭვა, რომ ეს [ყოველივე] მოაწყო მისმა შვილმა, რომელსაც მეფობა სურდა, მოაყვანინა იგი, დაადო ოქროს ბორკილები და შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ მოჰკლა [კიდევაც], თუმცა, იგი დიდად სასარგებლო იყო მისთვის“ [აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, 1959წ. გვ. 135].

როგორც უკვე აღნიშნე, ძვ.წ. 190 წელს ქ. მაგნეზიასთან მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე გამოჩნდა ახალი ზემძლავრი სახელმწიფო რომი, რომელიც ნელ-ნელა აფართოებდა თავის სახელმწიფოებრივ

საზღვრებს და აქტიურად ერეოდა მეზობელ სახელმწიფოთა საქმეებში.

„ძვ.წ. 66 წ. პონტოს მეფე მითრიდატესა და სომხეთის მეფე ტიგრანის წინააღმდეგ ომის წარმოება რომის სენატმა გნეუს პომპეუსს დაავალა და იგი აღმოსავლეთის პროვინციებში განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა“ [საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე; რედაქტორი აკად. დ. მუსხელიშვილი, 2012 წ. გვ. 185]. პონტოსა და დიდი სომხეთის სამხედრო ძალები, რომელთა რიგებში ქართლის სამეფოს შეიარაღებული ძალებიც იყო, ერთიანი ძალით ეწინააღმდეგებოდნენ რომაელთა შემოსვლას. რომაულებმა სასტიკად დაამარცხეს მოკავშირეები, ძვ.წ. 65 წელს პომპეუსი ქართლში შემოიჭრა. მალე დამარცხებულ ქართლის მეფეს რომაელებმა უბოძეს სტაცია – „რომაელთა მეგობარი და მოკავშირე“, რაც

ფაქტობრივად რომაული პოლიტიკური ორიენტაციის მქონე, რომის დაქვემდებარებაში მყოფ ქვეყანას ნიშნავდა.

ქართლის დამორჩილების შემდეგ, პომპეუსი გადავიდა კოლხეთში და ისიც დაიმორჩილა. შემდგომში პომპეუსის რომში ტრიუმფალური სვლაში, კოლხეთის მმართველ ოლთაკეს სხვა დაპყრობილი ტერიტორიების მმართველ დიდებულებთან ერთად მიადგეინეს მონაწილეობა. პომპეუსმა კოლხეთის მმართველად დაადგინა არისტარქე, რომლის სახელით მოჭრილმა მონეტამ ჩვენამდე მოაღწია, თუმცა, არისტარქე მონეტაზე მეფედ არ მოიხსენიება [საქართველოს ისტორია, ტ. I.. აკად. დ. მუსხელიშვილის რედაქტორობით, თბ., 2012 წ., გვ. 188].

ქართლის (იბერიის) მმართველი ელიტის პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ არსებული წყაროების სიმცირის გამო, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ

უკვე შემდგომში, ქართლის (იბერიის) მეფე არტაგს მალევე უნდა უარესო რომაული პოლიტიკური ორიენტაცია, ხოლო მისი მემკვიდრე ფარნავაზ II, ანტირომაული პოლიტიკური ორიენტაციის უნდა ყოფილიყო.

მსოფლიოს გადანაწილებისთვის ბრძოლის პროცესი ძვ.წ. IV-I სს. ხშირად ქართულ სახელმწიფოზე გადიოდა და ქართული სახელმწიფოს ტერიტორია იყო მოძალადე იმპერიათა ბრძოლის პოლიგონი. მპერობელი იმპერიისგან თავის დაღწევას კი, ქართლი (იბერია) ძირითადად ამ იმპერიის დაშლის შემდეგ აღწევდა.

შინაარსი

პოლიტიკური ორიენტაცია და ქართული	
სახელმწიფოს შექმნა ფარნავაზის ხანაში	3
ერისთავთა გამოსკლა საურმაგის წინააღმდეგ	33
მირვან ნებროთიანის მეფობა	45
ფარნაჯომი და ქართლის პოლიტიკური	
ორიენტაცია (ძვ.წ. 180-170 წწ.)	55
მეფე არშაკი - I (ძვ.წ. 170-145 წწ.)	65
მეფე არტაგი (ძვ.წ. 145-143 წწ.)	69
მეფე ბარტომი (ძვ.წ. 143-125 წწ.)	71
მეფე მირვანი (ძვ.წ. 125-110 წწ.)	78
მეფე არშაკი - II (ძვ.წ. 110-95 წწ.).	80

გარეპანის პირველ გვერდზე: ახალგორის განძი,
სასაფეთქლები, ძვ.წ. IV ს.



მისი ხელმძღვანელობით 1982 წელს, მაშინდელ ლენინგრადში, გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც 1985 წელს გადავიდა ქსნის ერისთავების სასახლეში. 1989 წლიდან გადაკეთდა ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალად.

ვლადიმერ (ვალო) ლუნაშვილი

ისტ. მეცნიერებათა დოქტორი

ვალო ლუნაშვილმა ქსნის საერისთავოს და მთლიანად საქართველოს ისტორიის შესწავლას თოთხმეტი სამეცნიერო ნაშრომი და რამდენიმე მონოგრაფია მიუძღვნა: ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან I; პუბლიკაციები (1997 წ.); ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან II (2001 წ.); ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია (2005 წ.) და მეორე გამოცემა (2007 წ.); ვახტანგ გორგასალი, პოლიტიკური ორიენტაცია და სეპარატიზმი (2013 წ.). წარმატებით მუშაობს ქართლის (იბერიის) სახელმწიფოებრივ გაერთიანებასა და პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებზე.